ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახვლედიანი

ანთ მეხნიერების ელემენტი

(ლექციები)

(ხელთნაწერების მაგიერ)

I.

ფასი ..... მ. ..... კ.

გამოცემა ქ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობისა.

ტფილისი
სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზოგადო ენათ-მეცნიერების შესავალი

ლექცია პირველი.

ბგერითი და ჟესტ-მიმიკის ენა. ჟესტ-მიმიკის მნიშვნელობა. ბგერითი ენის უპირატესობა. გარეთი და შინაგანი ბგერითი ენა. აზრის გაზიარების პირობები გარეთი ენის საშუალებით. ყოველ-დღიური შემოქმედება ენაში. შიგნითი ენის და აზროვნების განუყოფელობა. ნაწევროვანება აზრისა ენაში. ენის ცვალებადობა და მისი მიზეზები. „ცოცხალი“ და „მკვდარი“ ენა. დიალექტების წარმოშობა ენაში. ინდივიდუალური და საერთო ენის ურთიერთ განწყობილება. ენათ მეცნიერება კულტურულ-ისტორიული მეცნიერებაა. ენათმეცნიერების დარგები. ლიტერატურა.

რა არის ენა? ამ ცნების სრული განსაზღვრა გულისხმობს მთელი ენათ-მეცნიერების შინაარსს, ე. ი., თუ ჩვენ გვსურს გვქონდეს სრული წარმოდგენა ენაზე, უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოდ ენის ბუნება, რომელიც არსებითად ერთია ყოველი ხალხისა და დროსათვის—მას შემდეგ, რაც ადამიანმა მოინდომა თავისი აზრი გაეზიარებია სხვისათვის. მაშასადამე, ჯერჯერობით ვიცოდეთ. რომ ენა იარაღია აზრთა გასაზიარებლად.

ქვევით დავინახავთ, რომ ასეთი განსაზღვრა არ არის საკმარისი ე. წ. ბგერითი ენისათვის, რადგანაც აზრის გაზიარებას გარდა ბგერითი ენა განუყოელი ნაწილია ჩვენის აზროვნებისა, მაგრამ სამაგიეროთ ამ განსაზღვრის ფარგალში თითქმის თავსდება ბგერითისა და ე. წ. ჟესტ-მიმიკის ენის საერთო ნიშანდობლივი თვისება—აზრის გაზიარება.

როდესაც გსურთ აცნობოთ ვისმე, რომ თქვენ ამ წამში ფიქრობთ პურზედ, თქვენ გაქვთ ორი საშუალება: ან ენის ორგანოებით შერხეული ჰაერით უნდა მოახდინოთ ისეთი ბგერა, რომელიც მსმენელს აღუძრავს „პური“-ს სმენით შთაბეჭდილებას, ან და ხელის თითებზე კბენით ან სხვა რაიმე ნიშნით აუხსნათ „პური“, თუ მოსაუბრე თქვენთან ახლოს დგას და გხედავთ, ე. ი. თქვენ მას უნდა აღუძრათ ხედვითი შთაბეჭდილება „პური“. პირველი საშუალება იქნება ბგერითი ენა, მეორე—ჟესტის.

უკვე ამ მაგალითიდან სჩანს, თუ რამდენათ დაბლა სდგას ჟესტის ენა ბგერითზედ: საკმარისია სიბნელე ან ზურგის შექცევა ერთი მოსაუბრისა, რომ ჟესტის ენას ყოველივე აზრი დაეკარგოს. ბგერით ენას (სიტყვას) ჩვენ შეგვიძლია ვუცვალოთ აზრის მიხედვით ფორმა, დაბოლოვება, ადგილი წინადადებაში (მორფოლოგიური და სინტაქსიური ცვლილებანი), ჟესტის ენა-კი ამ მხრივ

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმარტება.

ტფ. უნივ. სტუდ. კავშირის გამგეობის მიერ გამოცემული „ენათმეცნიერების შესავლის“ დანიშნულებაა—აღმოუჩინოს დახმარება ფილოლოგ სტუდენტებს ამ საგანში გამოცდისათვის მზადების დროს.

მსმენელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ „ენათმეცნიერების შესავალი“ იკითხებოდა ორი სემესტრის (1918 წ. გაზაფხული და შემოდგომა) განმავლობაში ორი საათით კვირაში გაცილებით უფრო ვრცლად, ვიდრე ეს დაბეჭდილია ამ სამ წიგნაკში თხუთმეტ ლექციად: მხოლოდ მას შეუძლია დაკმაყოფილდეს დაბეჭდილი ლექციების შესწავლით, ვისაც სრულად მოუსმენია წაკითხული კურსი; ხოლო ვისაც რაიმე მიზეზის გამო არ მოუსმენია ზოგიერთ საკითხთა განხილვა, მას შეუძლია შეივსოს დანაკლისი თავ-თავის ადგილას ნაჩვენები ლიტერატურიდან.

შემოდგომის სემესტრის უკანასკნელი ლექციები (1) სამწერლო და საერთო სალაპარაკო ენა, 2) ხელოვნური ენები და მათი კრიტიკა, 3) ენის წარმოშობის საკითხი) არ იბეჭდება, რადგან გამოცდისათვის მათი ცოდნა სავალდებულო არ არის; ხოლო მსურველს შეუძლია გაეცნოს ამ საკითხებს უფრო ვრცლად, ვიდრე ეს წაკითხული იყო, შემდეგი ლიტერატურიდან:

1. O. Jespersen, Phonetische Grundfragen, 1904 Leipzig und Berlin, kap. III: Die beste Aussprache (32—64 გვ.).

2. Томсонъ, общее языковѣдѣніе, გვ. 375...

3. K. Brugmann und Leskien, Zur Kritik der Künstlichen Weltsprachen, 1907.

4. Couturat et Leau, Histoire de la langue universelle 1907.

5. H Paul, Prinzipien der Sqrachgeschichte, Halln, 1909[4], Кар. IX: Urschöpfunq (§§ 122—131).

6. R. Lenz, Über Urspruug und Entwikalung der sprache (Die neueren Sbrachen VIII).

7. Wundt, Völkerpsychologie. Die Sprahe, Leiprig 1912[3].

8. Житецкій, В. Гумбольдтъ въ исторіи философскаго языкознанія („Вопросы философіи и психологіи“ 1900).

9. Кудрявскій, О происхожденіи языка („Русская Мысль“ 1912, іюль).

10. Погодинъ, Языкъ, какъ творчество, Харьковъ, 1913, 33. 364...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშნული შეცდომები.

წიგნი 1.

გვ.	სტრიქ. ზევიდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
1	15	ییرالیا	یارالیا
6	1	რის	არის
7	11	ginneken	Ginneken
7	13	Janguage, 191	Janguage, 1901
11	24	ერთეულის	ერთეულს
11	36	язикъ	языкъ
11	24	იშნები	ნიშნები
13	1	მეგრურ...	მეგრული ენა არ არის
12	28	კლანიფუაცია	კლასიფიკაცია
13	35	სურთო	საერთო
14	11	შედარეებითი	შედარებითი
15	35	ურალო ალტაური	ურალ-ალტაური
18	13	სხვა.	სხვა ფილოსოფიური და დრამატიული თხზულებანი
18	20	ეათე	მეათე
18	21	აზემენიდთა	აქემენიდთა
18	22	ავესტი ნეა	ავესტის ენა
18	23	ავესტ›.	ავესტა).
18	24	სპირსულ	სპარსულ
19	2	ირნიკო-	ირნიურ—
20	9	ურალო-	ურალ—
იქვე		ტურანულ	თურანულ

20	10	თურქო-	თურქულ-
იქვე		უგრო-	უგრულ-
„		მონგოლურისა	მონღოლურისა
22	33	მოთხოვნიეება	მოთხოვნილება
24	39	სამთან ხმოვანება	სამთანსხოვანება
24	42	ცვლილებას	ცვლილება
24	45	ძირები;	ძირები);
24	46	Kutila „მივიღებთ“	Kufiea, —მივიღებთ
25	2	ყველა,	ყველამ
25	7	refor-e	rêtor-es
25	18	საოეხურს	საფეხურს
25	38	მრავალ-ჯერ	მრავალ—ჯერ
25	45	Jink	Fink
27	39	შეგრძნები	შეგრძნება
27	41	ყოველ ენის	ენის ყოველ
29	25	ნახევარი ნსფერო	ნახევარი-სფერო
29	46	შთსაბეჭდილება	შთაბეჭდილება
30	16	(„ზარის,	(„ზარი“-ს
30.	17	თვითონ.	თვითონ,
30	25	ვერნ. ბრ.	ვერნ.+ბრ..
იქვე		როცი	როცა
30	26 ზევ.	„ზარი“ა	„ზარი“.
30	27 „	ალძრავ,	ალძრავს
30	31 „	„ვერნ. ბრ“	ვერნ.+ბრ+
იქვე	„	მაგ.	მაგ—
30	5 ქვევ.	ვერ.„ბრ. ენ. ორგ.	„ვერ.+ბრ.+ენ.ორგ.“
30	4 „	გნ. წარმ. ვ. ბრ. ორგ. მიბრ.,	„მნ. წირმ. + ვერნ.+ ბრ.+ორგ. მოძრ.“
31	14 ზევ.	(ვერნ.	(ვერნ.)
31	15 „	დეჟ, ვ. მნ. წ. ბ. ენ. ორგ. მოძრ.	„დეჟ.+ვერნ.+მნიშ. წარმ.+ბრ.+ენ.ორგ. მოძრ.“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31	21	„ ვერნ. მნ. წარმ.	„ვერნ.+მნიშ.წარმ.“
31	24	„ ბრ. ვერნ.	„ბრ.+ვერნ.“
იქვე		ვერნ. ბრ.	„ვერნ.+ბრ.“
31	31	„ ვერნ დეჟ.	„ვერნ.+დეჟ.“
41	33	„ დეჟ. ვერნ.	„დეჟ+ვერნ.“
31	34	„ დეჟ. მნიშვნ. წარმ.	„დეჟ+მნიშვნ. წარ-მოდგ.“-ს.
31	35	„ დეჟ. ბრ.	„დეჟ.+ბრ.“
31	37	„ მნ.წარმ.—ვერნ. ბრ. ორგ. მოძრ.	„მნიშ. წარმ.+ვერნ. +ბრ.+ორგ. მოძრ.
31	38	„ ვერნ. ბრ. ორგ. მოძრ.	„ვერნ.+ ბრ.+ ორგ. მოძრ.“
31	39	„ გამოთქმა:	გამოთქმის დროს)
31	40	„ მნ. წ.—ვ. დ. გრაფ. ხელ. მოძრაობა	„მნ. წარ.+ვერ+დეჟ. +გრაფ.+ხელ. მოძ-რაობა“
31	40	„ მნ. წ. გრაფ. ხელ. მოძრ.	„მნ. წარ.+გრაფ.+ ხელ. მოძრ...“
31	41	„ დეჟ. გრაფ. ხელ. მოძრ.	„დეჟ+გრაფ.+ხელ. მოძრ..“
31	42	„ დეჟ. ვერნ. ბრ. ორგ. მოძრ.+ვ. მნ. წარმ.	„დეჟ.+ვერნ.+ბრ.+ ორგ. მოძრ.+ვერ. +მნ. წარმ.“
31	43	„ დეჟ. ვ. ბრ. ორგ. მოძრ.	„დეჟ.+ვერ.+ბრ. +ორგ. მოძრ..“
31	44	„ დეჟ. ბრ. ორგ. მოძრ.	„დეჟ.+ბრ.+ورგ. მოძრ.“
31	1 ქვევ.	დეჟ. (მნ. წარმ.;	„დეჟ.+მნ. წარმ.“,
იქვე		დეჟ. ბრ. ორგ. მოძრ. ვერნ. (მნ. წარმ.	„დეჟ.+ბრ.+ورგ. მოძრ.+ვერნ.+მნ. წარმ.“
32	22 ზევ.	დაღლილობისაგანც;	დაღლილობისაგანაც),

32	27 „	სირთულე,	სირთულე
32	33 „	მივიღოთ.	მივიტრიალოთ
32	34 „	გადაცმის	გადაცემის
32	35 „	ალმოჩ ნათა	ალმოჩენათა
32	2 ქვევ.	Осокон	Осокин

წიგნი II

3	11 ზევ.	რა	რა და რა
5	1 „	პ, ბ,	პ, ფ, მ,
5	3 „	(სკდომა**	(სკდომა)**
5	20 „	(chaonae).	(chaanae).
6	4 „	ცხვირის მური	ცხვირისმური
6	16 „	ცხვირის მურობას	ცხვირისმურობას
8	3 „	ჟ	ჟ
8	1 ბოლ.	ეწეოდა	ეწოდება
9	14 „	შუაგნის.	შუაენის-
9	10 „	რ'ლ	რ,ლ
11	2 „	ვაჟის	ქალის
11	1 „	ქალის	ვაჟის
13	4 ზევ.	ვაშლის	ვაშლს
15	19 „	ც	ჯ
16	13 „	ჟ	ჟ
18	5 „	Jehrbuch	Lehrbuch
20	8 „	დავინახსვთ	დავინახავთ
22	27 „	მნ. წარ.—ვ. + ბ. (ორგ. მოძრ.)	მნ. წარ. + ვ. + ბ. +ორგ. მოძრ.
24	2 ბოლ.	ინტუნაციად	ინტონაციად
26	10 „	გააჩნდება	გაუჩნდება
31	9 ზევ.	მიზიდვი	მიზიდვის
32	17 „	უესტიც	ჟესტიც
62	3 ბოლ.	ოთგანოები	ორგანოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

35	19 „	ინტელუქტი	ინტელექტი
33	12 „	წბრდგენა	წარმოდგენა
33	1 ბოლ.	ნათელი	ნათელ
47	13 „	მომბაძველობითი	მიმბაძველობით
37	12 „	звукодражательныя	звукоподражательныя
37	7 „	უჭირავს	უჭირავს.
38	17 „	ფუნქციერი	ფუნქციური
39	5 ზევ.	სიტყვა)	(სიტყვა)
40	10 „	გაიადვილა	გაიადვილა.
42	18 „	სიმამაცე“	სიმამაცე“,
47	8 „	შეძინა	შეიძინა
47	26 „	ფრანგი	ფრანგი
48	18 „	e	(e
48	16 „	მოკლე)	მოკლე).
47	23 „	ეი	ei
48	27 „	წარმოვადგინოთ	წარმოვიდგინოთ
54	5 ქვევ.	წარმოსადგენია	წარმოსადგენია.
59	6 ზევ.	მიხვედვით	მიხედვით
71	16 „	ébuos	équos
71	23 „	dziefi	dzien
76	1 ბოლ.	fsomnus	somnus
82	4 „	მიდის	მიდის:
84	1 ბოლ.	Jauwantdel	Jautwandel
90	11 ზევ.	მხოლრდ	მხოლოდ

მოუხეშავი და მოუქნელია. განსაკუთრებით უძლურია ჟესტის ენა ზმნის მრავალფეროვნების გამოხატვაში. ჟესტის ენით ელემენტარულად სარგებლობა შეუძლია ცხოველსაც; ეს გარემოება საკმაოდ ახასიათებს ამ ენის ღირსებას.

მართალია, ჟესტის ენით ჩვენ ხშირად ვსარგებლობთ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში (მაგ. საიდუმლოდ ლაპარაკი საზოგბდოებაში ერთ პირთან, სიგნალი და სხვ.; აგრეთვე, როცა ცხოვლად აზრის გამოსათქმელად შესაფერ სიტყვას ვერ ვპოულობთ და ხელს მივახმართ და სხვ.); პირველყოფილი ადამიანისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა ქონდა მას, როცა ბგერითი ენა ნაკლებ მოქნილი იყო: ჟესტი და ბგერა მაშინ ალბად ერთნაირად თანამშრომლობდენ; მაგრამ აზროვნებამ თავისი წინსვლისათვის გადაჭრილად უპირატესობა მისცა ბგერით ენას. რაც უფრო წინ მიდის ცივილიზაცია, მით ნაკლებ იხმარება ლაპარაკის დროს „ცხოველური“ (ჟესტის) ენა. ზრდილ ყოფაქცევის ‚წესების‘ მიხედვით (convenance) უწესობად ითვლება ხელებითა და ფეხებით ლაპარაკი?

თუ ადამიანმა ამ ორ ენათა შორის არჩევანი მოახდინა და უპირატესობა ბგერით ენას აკუთვნა, ეს იყო უაღრესი მნიშვნელობის აქტი, რომელსაც ვერ შეედრება ვერც ერთი აღმოჩენა ადამიანის აზროვნების ვერც ერთ სფეროში, რადგან ბგერითი ენა შეიქმნა თავდები ადამიანის განვითარებისა.

იმას გარდა, რომ ბგერითი ენა **მრავალ-ფეროვანია, ადვილათ გამოსახატავია** მთქმელისაგან და **ადვილათ გასაგები მსმენელისაგან,**—ის განუშორებელი ელემენტია თვით აზროვნებისა, აზრის გაზიარებისაგან დამოუკიდებლად.

განვიხილოთ ჯერ აზრის გაზიარების პროცესი ბგერითი ენის საშუალებით. როცა ენას (ვგულისხმობთ ამას შემდეგ ბგერით ენას) მივმართავთ აზრის გადასაცემათ, ამ საშუალებით ჩვენ აზრის და ენის შინაგანი პროცესი გამოგვაქვს გარეთ; ამიტომ ამ მომენტს ვუწოდოთ გარეთი ენა.

გარეთი ენა გულისხმობს, მთქმელსა და გამგონეს გარდა, ობიექტურ მომენტს—ჰაერის მოძრაობას, რომლის საშუალებით მთქმელის ბგერა აღწევს მსმენელის ‚ყურ‘ და აღძრავს მასში იმ წარმოდგენას ან გრძნობას, რომელსაც მთქმელი განიცდიდა (მაგ. იგივე „პური“); მაშასადამე თქმის და გაგონების შედეგი ერთია („პური“), მაგრამ ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესი-კი სხვადასხვა; მთქმელს აზრი აქვს და ეძებს სიტყვას იმ თანხიდან, რომელიც მას **უკვე აქვს**; მსმენელს-კი ესმის ბგერა და შემდეგა ‚ღეძვრის აზრი, **თუ მის ცნობიერებაში გაგონილი ბგერა დაკავშირებულია იმავ წარმოდგენასთან, რომელთანაც მთქმელის ცნობიერებაში:** მთქმელისათვის სიტყვა ფუნქციაა აზრისა. მსმენელისათვის პირიქით: აზრია ფუნქცია სიტყვისა. ამ პროცესთა ფსიქო-ფიზიოლოგიური პირობების შესწავლა ცხადყოფს ენის ბუნების მრავალ მხარეს.

თქმა-სმენის სირთულე უფრო შორს მიდის: აქ ხდება ენის შემოქმედება.

ყოველი ჩვენი საუბარი, აზრის გასაზიარებლად ენის ყოველი აღძვრა, არის შემოქმედება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვამბობთ: ეს ადამიანი ენამჭევრია, მშვენიერად გადმოგვცემს თავის აზრსო. ცხადია, რომ მთქმელი თავის ბგერათა თანხიდან პოულობს საუკეთესო გამოხატულებას თავისი აზრისათვის,

ახდენს იდეათა ახალ კომბინაციებს იმის მიხედვით, თუ როგორა აქვს განვითარებული სხვა და სხვა ასოციაციები, რა ინდივიდუალური ნიჭისაა, ან—როგორ სულიერ განწყობილებაშია ლაპარაკის დროს. ერთი სიტყვით, ... ენას, შემოქმედებას ეწევა.

აგრედვე ვიტყვით ხშირად: ეს ადამიანი ცუდად ლაპარაკობსო. თქვენ იტყვით: აქ სადღაა შემოქმედება? ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს **დაფასება** მსმენელისაა; მაშასადამე მსმენელი ხედავს მთქმელის შეცდომებს და ასწორებს და ავსებს მთქმელის ენას ჩუმად თავისთვის, იმისდამიხედვად, თუ რა ნიჭისა და სხვა, მსმენელი; აქაც შემოქმედებაა მსმენელის მხრივ. ყოველ ჩვენგანს შეუძლია მრავალი მაგალითი მოიყვანოს იმის დასამტკიცებლად, რომ მსმენელს ხშირად მეტი ესმის, ვიდრე მთქმელს ქონდა წარმოდგენილი.

გავეცნოთ ახლა შიგნით, შინაგან ენას. მე ვთქვი: მთქმელი ეძებს სიტყვას იმ თანხიდან, რომელიც **მას უკვე აქვს**... ვთქვი აგრედვე: მსმენელს აღეძვრის... **ის წარმოდგენა**... რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გარეთი ენა (აზრის გაზიარების პროცესი) არ არის ენის მთავარი თვისება: გარეთი ენა არის შემთხვევითი აქტი, დროის და გარემოების მიხედვით (ცხადყოფა **ჩვენის შინაგანის ენისა** (იხ. ზემოთ ენის განსაზღვრა).

როცა მე მსმენელს ვეუბნები: „პური“, მე ვგულისხმობ, რომ, თუ ეს მან გაიგონა, უთუოდ გაიგებს, ე. ი. მის ცნობიერებაში არსებობს **ბგერითი** და **მნიშვნელობითი წარმოდგენა** „პური“*) რომ სმენით შეგრძნებას მსმენელის არსებაში არ მოენახა უკვე მზა ენა (ამ შემთხვევაში წარმოდგენა „პური“), ჩვენი გარეთი ენა ვერ მიაღწევდა თავის მიზანს.

მაგ. ჩვენთვის უცხო ენის ბგერებს გავიგონებთ, გავიმეორებთ კიდეც, მაგრამ ვერ გავიგებთ, რადგან ჩვენ **შესაფერი შინაგანი ენა არა გვაქვს მზად.** აი ეს შინაგანი ენა (მშობლიური ენა პირველ ყოვლისა) არის აზრის მძლავრი და აუცილებელი იარაღი, უმთავრესად იმიტომ, რომ ბგერათა წარმოება უფრო ადვილად გადადის ადამიანის შეუგნებელი მოქმედების სფეროში, ვიდრე ჟესტის ენის ნიშნები: როცა ჩვენ სიტყვას ვამბობთ ჩვენთვის ცნობილ ენაზე (განსაკუთრ. მშობლიურზედ), იშვიათად ვფიქრობთ, თუ როგორ და რა ორგანოებით გამოვთქვამთ რომელიმე ბგერას.

ეს ითქმის ყოველ იარაღზედ ყოველდღიურ ცხოვრებაში: რაც უფრო შეუგებლად, მაგრამ მიზანშეწონილად, ვხმარობთ რომელიმე იარაღს, მით უფრო მეტია ნაყოფიერება ჩვენის საქმიანობისა. ეს ბგერათა წარმოება, როგორც შეუგხებელი მოქმედება ენის ორგანოთა, აღარ უშლის ხელს აზრის მსვლელობას; პირიქით, ადამიანის მთელი ფსიქიური ენერგია მიმართულია აზრისაკენ, დაიმედებული იმაში, რომ აზრის იარაღი—ენა სინდისიერათ ასრულებს თავის დანიშნულებას.

---

*) შევნიშნავ, რომ შესაძლოა ბგერითი წარმოდგენა გვქონდეს, მაგრამ ვერ გავიგოთ, მაგ. ჩვენთვის უცხო ენის სიტყვა, რომელსაც გავიმეორებთ კიდეც, მაგრამ ვერ გავიგებთ; აგრედვე შეგვიძლია გვქონდეს მნიშვნელობითი წარმოდგენა, მაგრამ მაინც ვერ გავიგოთ, მაგ. საკანი, რომელიც გვიხილავს, მაგრამ სახელი არ ვიცით. ამიტომ აუცილებელია ბგერითი და მნიშვნელობითი წარმოდგენის ერთ დროული ასოციაცია.

მაგრამ ენის განუყოფელობა აზრთან ამით არ განისაზღვრება.

ბგერითი ენის უმთავრესი დანიშნულება არის აზრის დანაწევრება (расчлененіе, членораздѣльность). ცხოველსაც შეუძლია გამოხატოს ბგერითი თავისა ელემენტარული შთაბეჭდილება, მაგ. ძაღლის ყეფა (მონადირე ამჩნევს, - ეულოდელს უყეფს თუ დათვს); მაგრამ ძაღლი გამოხატავს შთაბეჭდილებას უანალიზოთ, დაუნაწევრებლათ; ამიტომ ეს არ არის ადამიანის ბგერითი ენა. ადამიანი გამოხატავს აზრს ან შთაბეჭდვლებას, როცა უკვე ანალიზი გაუკეთა, დაანაწევრა აზრი ენის საშუალებით და აზრის თითოეულ წევრს მიუჩინა თავისი ადგილი (სინტაქსი) და მიანიჭა თავისი ფორმა (მორფოლოგია) აზრის მიხედვით. სრულიად უბრალო, მარტივი წინადადება რამდენიმე ნაწილისაგან შესდგება: მაგ. „ბავში თამაშობს" ცხოველი ხედავს პატარა არსების მოქმედებას: მისთვის, უენოსთვის ეს ორი ცნება „ბავში" და „თამაშობს" განუყოფელია. ადამიანი-კი ამ პატარა არსებას სახელს მოუძებნის და შესაფერ ბრუნვაში დასვამს (ბავში, ბავშ-**მა**,—ის)... მის მოქმედებას განაცალკევებს მოქმედების მატარებლისაგან და მოქმედებას თავის სახელს მოუძებნის (ზმნა: თამაშობა) და შესაფერ დროსა და პირში დასვამს (თამაშობს, უთამაშია...). აი ეს ნაწევროვანი ენა ჰყოფს ცხოველს ადამიანისაგან გარდაუვალის უფსკრულით,

ადამიანი აზროვნობს ნაწევროვანი, ბგერითი ენით მაშინაც-კი, როცა მას აზრადაც არა აქვს ვისმე გაუნაწილოს თავისი შთაბეჭდილებანი.

სიტყვა არის წარმოდგენის სიმბოლო. მრავალი ჩვენი წარმოდგენა მკრთალია და ადვილათ დაიკარგებოდა ან აირეოდა, რომ მათ სიტყვით (ბგერით) არ ვაკავებდეთ და არ ვიჭერდეთ. ცნებათა შექმნა კი ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა უსიტყვოთ. ისეთ განყენებულ ცნებებს რომ თავი დავანებოთ, როგორიცაა „სიცოცხლე", „მსოფლიო", „სიარული", „დაჭერა" და სხვ., კონკრეტი საგნების წარმოდგენაც-კი გაგვიჭირდებოდა უსიტყოვოდ.

აზროვნების წინსვლაში თანამშრომლობს ენა აგრეთვე მით, რომ სკვნის და ამკვიდრებს აზრის ნამოქმედარს და ამით მას წინსვლას უადვილებს. მაგ., ავიღოთ სუფიქსის მნიშვნელობა აზროვნებაში: გონებამ აღნიშნა მოვლენათა და საგანთა შორის **მოქმედი**, ენამ-კი შესაფერი სუფიქსი მისცა: —ელი (მკეთებელი, მჭრელი, მსმელი...); გონებამ აღნიშნა **მოქმედების** კატეგორია, ენამ მიაწოდა სუფიქსი -(ებ)ა, -(ობ)ა: კეთება, შეგნება... ენამ მტკიცეთ დაამკვიდრა აზროვნების ეს საფეხური და ამით წინსვლის საშუალება მისცა მას.

ზემო ნათქვამიდან უკვე ცხადია, თუ რა მიზანი უნდა ქონდეს ლინგვისტს, ენის მკვლევარს*.)

---

*) პოლიგლოტიზმი (მრავალ ენათა მცოდნეობა) არ ნიშნავს ლინგვისტობას: შეგვიძლია მრავალი ენა ვიცოდეთ, მაგრამ ენის ბუნებაზედ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდეს. რა თქმა უნდა, ლინგვისტისათვის სასარგებლოა, რაც შეიძლება მეტი ენა იცოდეს, მაგრამ საკმარისია იცოდეს რამდენიმე და მათ შორის ერთი განსაკუთრებით საფუძვლიანად. თუ რას ვუწოდებთ ენის საფუძვლიანად ცოდნას, ამას შემდეგ გავიგებთ ვიტყვი აქ მხოლოდ, რომ ენის მეცნიერული ცოდნა სრულიად არ გულისხმობს აუცილებლივ მის პრაქტიკულ ცოდნას, თუმცა ეს სასურველია.

პირველ ყოვლისა ენის მკვლევარმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ენა არის განუწყვეტელი მოქმედება (дѣятельность); ენა არ არის უცვლელი, უძრავი, ერთხელ და სამუდამოდ დადგინებული რამ: ენა მუდმივი ცვალებადობაა — ბგერათა, სიტყვათა, ფორმათა და გამოთქმათა. თუ რომელიმე ეს ელემენტი ხმარებიდან გამოდის მოკლე დროთი მაინც, ის კვდება, სწყვეტს არსებობას; მაგრამ თუ ენა არ კვდება, ეს იმ გარემოების წყალობით, რომ ამ ცვალებადობის და სიკვდილის პროცესს თან სდევს აღორძინების პროცესი: ჩნდება ახალი ბგერა, ფორმა, სიტყვა და გამოთქმა. რადგანაც ენა მუდმივი ცვალებადობაა, ამიტომ მისთვის ვიწროა ყოველივე ჩარჩო გრამატიკის სახით: ენის მიმდინარეობის პროცესი ყოველთვის უფრო სწრაფია, ვიდრე მისი შესწავლისა; ამიტომ გარდაუვალი ჩარჩოს შექმნა შეიძლება მხოლოდ იმ ენისათვის, რომელიც მოკვდა, ე. ი. ყოველდღიური ხმარებიდან გამოვიდა. მეორე მხრით, დასწერეთ თქვენ გრამატიკა ამა თუ იმ ენისა მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე და თქვენ გექნებათ უსიცოცხლო ნაწილი ცოცხალი ორგანიზმისა.

ამიტომ ენის ბუნების ყოველმხრივი შესწავლა შეძლება მხოლოდ ცოცხალ ენაში. თუ რა მეთოდებით ვხელმძღვანელობთ მკვდარ და ცოცხალ ენათა შესწავლის დროს, ამაზე შემდეგ.

ენის ცვალებადობის შედეგია მასში დიალექტების, კილოკავების წარმოშობა. ცვალებადობის მიზეზები უნდა ვეძიოთ როგორც გარეშე პირობებში (ფიზიურ, ფიზიოლოგიურ და სოციალურში), აგრეთვე ადამიანის ფსიქიურ ორგანიზაციაში. ამ მიზეზთა კვლევა შეადგენს ლინგვისტის უმთავრეს საგანს.

პიროვნებას მუდამ შეაქვს ენაში ახალი რამ, მაგრამ საზოგადოება მას დარაჯად ყავს: ის ულობავს გზას და სპობს ენის იმ ინდივიდუალურ მოვლენებს, რომელიც მას ეუცხოვება, არ მოსწონს ან არ ესმის.

რადგანაც ენა სოციალური მოვლენა ყოფილა, ამიტომ ენათმეცნიერება ეკუთვნის კულტურულ-ისტორიულ მეცნიერებათა დარგს; მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ენათმეცნიერება სხვა ყველა კულტურულ-ისტორიულ მეცნიერებათა შორის უსწორესი მეცნიერებაა ხავის მეთოდებით.

ენათ-მეცნიერება განიყოფება რამდენიმე დარგად; თითოეული იკვლევს ენას განსაზღვრული მხრით:

ა) ფონეტიკა ანუ ბგერათა ისტორია, რომელიც იკვლევს ბგერათა ცვლის „კანონებს“ ამა თუ იმ ენაში.

ბ) მორფოლოგია—მეცნიერება სიტყვის ფორმათა და ფორმალურ მნიშვნელობათა შესახებ.

გ) სინტაქსი იკვლევს წინადადებათა ფორმებს და მათ ფორმალურ მნიშვნელობას.

დ) სემასიოლოგია ანუ სემანტიკა არკვევს ენის ცვალებადობას სიტყვის შინაარსის მხრივ.

ე) ლექსიკოლოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. Томсон, Общее языковѣдѣніе. Одесса 1902 г.

2 Richter Wie wir sprechen? Lpz. 1912 (არის რუსულად: Как мы говорим? СПБ. 1912 гз.

3. Богородицкій, лекціи по общему языковѣдѣнію, Казань 1915²

4. Бодуэн-де-Куртэнэ, Введеніе в языковѣдѣніе 1916 (ლიტოგრაფ.)

5 Кудрявскій, Введеніе в языковѣдѣніе, Юрьев 1913².

6. Погодин, Язык как творчество, Харьков 1913

7. Paul, Prinzipien der sprachgeschichte Halle 1909⁴

8. Потебня, Мысль и язык, Харьков, 1892,

9. I. van ginneken, Principes de linguistique psychologique, Paris 1907.

10 Sweet, History of Janguage, 191.

ლექცია მეორე

ბუნებრივი და ხელოვნური ენა. როგორ მუშავდება ხელოვნური (ლიტერატ). ენა? ქართული ლიტერატ. ენა. ანტაგონიზმი ხელოვნურ და ბუნებრივ ენათა შორის. რევოლიუცია ლიტერატურულ ენაში.

ახალ მოვლენათა წარმოშობისა და მათი ენაში დამკვიდრების პირობები: გენერაციათა ცვლა; მცხოვრებთა გამრავლება და მოსახლეობის გამოცვლა; გეოგრაფიული და კლიმატიური ფაქტორები; სხვა ენის გავლენა. დამონებული და გაბატონებული ერის ენა. დიალექტი და ენა. კილო, კილოკავი, თქმა და ქცევა. დაყოფვის სირთულე. წიხაპარი ქართული ენა და მისი შთამომავლობა. მათი ურთიერთ განწყობილება. მეგრული ენა თუ კილო? „ქართული“. ანალოგია სლავურ ენათა. ლინგვისტის მიზანი. მონათესავე ენები—ერთი ენის სხვადასხვა ევოლიუციის შედეგია. გენეალოგიური კლასიფიკაცია.

პირველ ლექციაში ჩვენ გავეცანით ენის ცვალებადობას. გავიგეთ, რომ ენა არასოდეს არ ჩერდება ერთ წერტილზე და მუდამ განვითარების პროცესს განიცდის. როცა ამას ვამბობდი, მე მქონდა სახეში ცოცხალი, ყოველდღიურ ცხოვრებაში სახმარი ენა, რომელსაც ამიერიდან ვუწოდებ **ბუნებრივ, ხალხურ ენას.** მაგრამ, თუ ადამიანი მაინც ახერხებს ამ განუწყვეტელი პროცესის—ენის შესწავლას, ესაა მისი ხელოვნური მოქმედების ნაყოფი, ე. ი. ადამიანი ქმნის **ხელოვნურ, საერთო ენას;** ასეთი ენის შექმნა წარმოადგენს აუცილებლობას როგორც ურთიერთ გაგების საჭიროებისათვის, აგრედვე იმავე ცოცხალი ენის მოვლენათა გასარკვევად.

მხოლოდ ლიტერატურული ანუ მწერლობის ენაა ერთ წერტილზე შეჩერებული, დამორჩილებული გრამატიკის ნორმებს. ჩვეულებრივ ლიტერატურული ენა მუშავდება ენის რომელიმე დიალექტის ნიადაგზე, იმ დიალექტის, რომელიც რაიმე მიზეზის ან მოსაზრების ძალით ითვლება იმ ზომ „უკეთესად", რომ წარმოდგენილია მიბაძვის საგნად. ასეთ მიზეზად შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიური ან კულტურული უპირატესობა ერის იმ ნაწილისა, რომელიც იმ 'უკეთეს' დიალექტზე ლაპარაკობს. ამ პირობებს გარდა და ხშირად დამოუკიდებლად მათგან საკმარისია რომელიმე ერთ დიალექტზე სწერდეს ერთი შესანიშნავი მწერალი, რომ ეს დიალექტი გახდეს მთელი ერისათვის ენის ნიმუშად. ეს ენა ხდება მწერლობის ენად, და განათლებულ წრეებშიაც ამ ენაზედ ცდილობენ ლაპარაკს. იქმნება და წესდება 'კანონები' და ნორმები ამ ენისათვის, რომელთა დარღვევა ენის უცოდინარობად ითვლება. ენის 'დაკანონების დროს მასში შედის მრავალი ელემენტი მეზობელ დიალექტებიდან, ისეთი ელემენტები, რომელნიც არ არიან ნაყოფი დაკანონებული დიალექტის ორგანიული განვითარებისა. დიალექტები-კი განაგრძობენ თავის განუწყვეტელ განვითარების პროცესს, ის დიალექტიც, რომლის განვათარების ერთი საფეხური დაკანონებულ ენაში გაიყინა.

მაშასადამე ლიტერატურული ენა ერთის მხრით სწყვეტს კავშირს ენის ბუნებრივ განვითარებასთან და მეორე მხრით, შეაქვს თავის საგანძურში უცხო ელემენტები სხვა დიალექტებიდან, ამიტომ ყოველი ლიტერატურული ენა ხელოვნურია.

მაგალითისათვის ავიღოთ თანამედროვე ქართული ლიტერატურული ენა, რომელსაც (ძველ ლიტერ. ქართულს გარდა) უმთავრესად **ქართლური** დიალექტი უძევს საფუძვლად; სხვა ქართულ დიალექტთაგან **ქართლურის** გამორჩევა ლიტერატურული ენისათვის შედეგია უმთავრესად პოლიტიკურ და კულტურულ პირობათა (იხ. ზევით). ამა თუ იმ მიზეზით ქართლური შეიქმნა 'უკეთეს', მისაბაძ დიალექტად. მაგ. სიტყვა 'წავიდნენ'-ისათვის განსაზღვრულ მომენტში არსებობს სამი ან მეტი ფორმა, სახელდობრ: **წევიდენ**, (იმერული), **წავიდნენ** (ქართლური) და **წავიდეს** (ხევსურული): დამკვიდრდა ქართლური **წავიდნენ**, რადგან ქართლური, ხსენებულ მიზეზთა წყალობით „უკეთეს'' დიალექტად იყო ცნობილი იმ მომენტში, თუმცა არავითარი განსხვავება ამ სამ ფორმათა შორის არ არსებობს აზრის მხრივ...

ადვილად შესაძლებელია, რომ მომავალში ენა ხმარების პროცესში იცვალოს და იმავე ცნების გამოსახატავად სხვა ფორმა შექმნას. რომელიც ბოლოს ბოლოს შევა მწერლობაში და ძველის ადგილს დაიკავებს, როგორც ამ ძველმა დაიკავა უფრო ძველის ადგილი.

ამგვარად ხდება ერთი დიალექტის გაბატონება დანარჩენებზე, მაგრამ ამ ფაქტიდან არა სჩანს, თუ როგორ შედიან ლიტერ. ენაში სხვა, ძირითად დიალექტისთვის (ქართლურ.) უცხო ელემენტები, ე. ი. ისეთი ელემენტები, რომელნიც არ არიან ამ დიალექტის ევოლიუციის ნაყოფი. იმავ ლიტერატ. ქართულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მაგ. გვაქვს ძველადგანვე ორი სიტყვა: **ჯაჭვი** და **ძეწკვი** ერთისა და იმაგე საგნის აღსანიშნავად; განსხვავება მხოლოდ საგნის სიდიდეშია. ფორმა **ჯაჭვი** ქართული არ შეიძლება იყოს ქართული ფონეტიკის თვალსაზრისით, ეს ფორმა **ჯაჭვი** არაა შედეგი ქართულ (ან ქართლურ) ბგერათა ევოლიუციისა: ის არის ნაყოფი ბგერათა იმ ცვალებადობისა, რომელსაც **ქონდა ძალა** მხოლოდ **მეგრულში**, საიდანაც ქართულმა ისესხა მზა ფორმა **ჯაჭვი**. ქართული ფორმა ამ სიტყვისა არის **ძეწკვი**, რომელიც მნიშვნელობით სრულიად უდრიდა **ჯაჭვს**. შემდეგში აზროვნებამ გამოიყენა ეს ორი ერთი მნიშვნელობის სიტყვა (ერთი სხვისი და ერთიც თავისი) სხვა და სხვა ცნებათა გამოსახატავად: **ჯაჭვი** დიდისათვის და **ძეწკვი** პატარასთვის... აქ უკვე იწყება სემასიოლოგიის სფერო (იხ. შემდეგი ლექციები).

ანტაგონიზმი მწერლობის ხელოვნურ და ბუნებრივ დიალექტურ ენათა შორის (განსაკუთრებით მწერლობის ენის მხრივ დიალექტურის სრულიად უსამართლოდ აბუჩად აგდება) იწყება ხელოვნური ენის დაკანონების დღიდან; მაგრამ ენის ევოლიუციას თავისი გააქვს და საზოგადოების ის ელემენტებიც-კი, რომელნიც ცდილობდნენ ხელოვნურ ენაზე ელაპარაკნათ, ან მათი შთამომავლობა, უკვე უხერხულობას გრძნობენ დაკანონებული ენით ლაპარაკში. ცხადია მათ თავისდა შეუმჩნევლად, ხმარების პროცესში ეს ენა შეუცვლიათ ⁄ მას დაშორებიან. აქ იწყება რევოლიუცია ლიტარატურულ ენაში: ის იძულებულია ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით გარდაიქმნას, ყოველდღიურ ენას დაუახლოვდეს და ხელ ახლა დააკანონოს მისი განვითარების რომელიმე საფეხური... ასე ხდებოდა ყოველ ლიტერატურულ ენაში, ხდება და უნდა მოხდეს მომავალშიც.

ცოტა ზემოთ მე ვიხმარე სიტყვა „**ხალხური ენა**"; უმჯობესი იქნებობა მეთქვა 'ხალხური ენები' რადგანაც ერს აქვს ლიტერატურული ენა ერთი, ხოლო კილოკავი მრავალი.

ჩვენ ხშირათ ვიტყვით: ამა და ამ პირს თავისებური ენა აქვსო. მაშასადამე ჩვეულებრივ სალაპარაკო ენას ამ პირმა ცოტაოდნად გადაუხვია თავის ფიზიოლოგიური, ფსიქიური და ინდივიდუალი ორგანიზაციის მიხედვით. ყოველი ჩვენგანი ამ ცვალებადობის მონაწილენი ვართ და ამიტომ ბევრ ამგვარ გადახვევას' ვერ ვაჩნევთ. ბევრ მათგანს ვამჩნევთ, მაგრამ შეცდომად აღვიარებთ და ამნაირად გავრცელების გზას არ ვაძლევთ.

მაგრამ, თუ მთელი ჯგუფისათვის (საზოგადოებისათვის) საერთოა ცვალებადობის პირობები, რომელთა წყალობითაც წარმოიშვა ახალი ბგერა, ფორმა, სიტყვა ან გამოთქმა, იმ შემთხვევაში აუცილებლად დამკვიდრდება ეს ახალი მოვლენა; აქ ეყრება საფუძველი დიალექტის წარმოშობას. ეხლა შევუდგები ამ საერთო ხასიათის პირობათა და მიზეზთა განხილვას; ვიტყვი აქ მხოლოდ გაკვრით, რომ ყოველ ცალკე ოჯახს, სოფელს, კუთხეს და მხარეს აქვს თავისებური 'ენა', ცოტაოდნად მაინც განსხვავებული მეორე ოჯახის, სოფლისა და კუთხის ენისაგან. თავისებური 'ენა' უვითარდება საზოგადოების ყოველ კლასს, წოდებას ან პროფესიულ ჯგუფს: ექიმებს, იურისტებს, მღვდლებს და აგრეთვე ქურდ-ბაცაცებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უფრო დიდია ერთეული რიცხვით, მით მეტია განსხვავება მეორე ერთეულის ენისაგან. რამდენადაც უფრო ხშირია ამ ერთეულთაშორის მისვლა მოსვლა, მით ნაკლებია მათი ენის განსხვავება.

იმ პირობათა შორის, რომელნიც ხელს უწყობენ ენის ცვლილებათა დამკვიდრებას, პირველად დავასახელებ **გენერაციათა მონაცვალეობას** ანუ შთამომავლობათა ცვლას. ბავში ეჩვევა ლაპარაკს მოზრდილთაგან მიბაძვით: ის იმეორებს მას, რაც ესმის და როგორც ესმის, მაგრამ ზოგი წვრილმანი გამოეპარება მის ყურადღებას; ძალიან იშვიათად მოხდება, რომ ბავშვ სრულიად უფროსთა მსგავსი ენა შეითვისოს: მას უსათუოდ შეაქვს ახალი რამ ენაში, მაგრამ თუ ეს ახალი რამ შემთხვევითი ხასიათისაა, ის იწვევს დაცინვას, რაც ბავშს აიძულებს თავისი შეცდომა გაასწოროს; ხოლო თუ ამ ახალ მოვლენას იმდენად ღრმა ფესვები აქვს, რომ ის წარმოადგენს საერთო მოვლენას მრავალ ბავშთათვის, მაშინ მისი აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელია ამ გენერაციაში. ასეთი შემთხვევის საილუსტრაციოდ პროფ. მეიეს (Meillet) ასეთი მაგალითი მოყავს: ჩრდილოეთ საფრანგეთში განსაზღვრულ მომენტში ბავშებს გაუჭირდათ. l mouillée-ს გამოთქმა და მის მაგიერ იხმარეს იოტა (y=ᲘᲐ); ეს ახალი მოვლენა დიმკვიდრდა ფრანგულში, რადგან მას საერთო ხასიათი ქონდა.

ამ ფაქტორს არ ექნებოდა დიდი ძალა, თუ რომ მცხოვრებთა რიცხვის ზრდას არ მოეთხოვა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა; ენას, რა თქმა უნდა, ექნებოდა განვითარების სხვადასხვა საფეხური, მაგრამ დიალექტები-კი არ წარმოიშობოდა, რადგან ამ ენაზე მოლაპარაკენი ერთი მეორესთან მუდმივი მისვლა-მოსვლით წაშლიდნენ იმ უსწორ-მასწორობას, რომელიც მუდამ უნდა ჩნდებოდეს ყოველ ენაში. მაგრამ მცხოვრებთა გამრავლება მოითხოვს ვრცელ ტერიტორიაზე გაშლას, ხოლო ამ გარემოებას თან დაყვება ენაში იმ ახალ მოვლენათა განმტკიცება, რომელნიც ერთად ყოფნის დროს უთუოთ წაიშლებოდენ.

განსაკუთრებით ბგერათა ცვლილებაზე გავლენა აქვს აგრედვე იმ გეოგრაფიულ და კლიმატიურ პირობებს, რომელშიც ცხოვრება უხდებათ გადასახლებულთ. ეს ფაქტორი არაა მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობის, თუმცა ზოგჯერ საკმაო განსხვავებაა, მაგალითად, ერთსა და იმავე ენაში მთასა და ბარში. ხმის ტონის განსხვავება-კი უეჭველი ფაქტია, მაგ. პირქუშ ჩრდილოეთისა და მზიან სამხრეთის ენათა შორის. ენაში მრავალი დიალექტის გაჩენას ხელს უწყობს მცხოვრებთა ერთი-მეორესაგან განკერძოება ბუნებრივი საზღვრებით, მაგ. ძნელად გასავლელ მთებით ან მდინარეებით. ძველი-ბერძნულის დიალექტური სიმრავლე აიხსნება ამ ფაქტორის გავლენით. საქართველოს პატარა ტერიტორიაზე მრავალ დიალექტთა არსებობა ამგვარად აიხსნება უმთავრეს ნაწილად.

დიდი ცვლილება შეაქვს ენაში აგრედვე სხვა ერის ენას, რომელთანაც შემთხვევით გეოგრაფიული მეზობლობა უხდება. როგორიც უნდა იყოს ამ ორ მეზობელთა შორის დამოკიდებულობა, მათ უხდებათ ერთი მეორეში მისვლა მოსვლა და სულ სხვა ძირის ენა გავლენას ახდენს მეორეზედ, განსაკუთრებით

ლექსიკის მხრივ; თუ შორეული ნათესაობა მაინც არის ამ ორ ენათა შორის, ურთიერთ გავლენა ძლიერდება.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიაც არ მოინახებოდეს ოდესღაც მასთან მომიჯნავე ენის ელემენტები. უმეტეს ნაწილად დაპყრობილი ერის ენა მეტ ცვლილებას განიცდის დამპყრობელთა ძალადობით, მაგრამ ხშირად დამონებული ერის ენას, თუ ის კულტურულად მაღლა დგას, მეტი გავლენა აქვს გაბატონებულთა ენაზე: მოიგონეთ, მაგალითად, გამარჯვებულ გერმანელთა ბედი რომანულ ქვეყნებში, სადაც უფრო მაღალი კულტურა იყო. გავლენა უცხო ენისა მდგომარეობს არა მხოლოდ ენის ლექსიკის ცვლილებაში, რომელიც გამოიხატება კულტურულ საგანთა და ცნებათა სახელების სესხებაში, არამედ ახალ ბგერათა შეძენაშიც; მაგ., სანსკრიტში ე. ი. ძველ-ინდურში არსებობენ ეგრეთწოდებულნი ენის წვერისმიერნი ბგერანი (t, d, n, th, dh*), რომელთა მსგავსი არც ერთ მის მონათესავე ენაში არ გვაქვს (მაგ. ლათინ., ბერძნ., გერმ., სლავ. და სხვ.); მაშასადამე, ეს ბგერანი თვით სანსკრიტულშიც არ ყოფილა თავისი; მართლაც ეს ბგერები გვხვდება დრავიდულ ენებში (იხ. ქვემოთ), რომელთანაც გეოგრაფიულად დაკავშირებული იყვნენ და არიან ძველი და ახალი ინდოელები. ამგვარივე მეზობლობით ხსნიან ევროპიელი მეცნიერები სომხური ენის მრავალ ბგერათა მსგავსებას ქართულის ბგერებთან. ოსურსაც მრავალი ბგერა შეუძენია ქართულისაგან.

აქამდი მე ვხმარობდი სიტყვა „დიალექტ"-ს სხვა და სხვა შინაარსის ცნებათა აღსანიშნავად. მე ვამბობდი, ყოველი ენა წარმოშობს დიალექტებს ხსენებული ფაქტორების ზეგავლენით მეთქი. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, არა თუ ერის რომელიმე კუთხე განსხვავდება მეორესაგან ამ მხრივ, არამედ ხშირათ ერთი სოფელიც მეორესაგან და სხვა. ვთქვი აგრედვე, რომ რაც უფრო დიდ ერთეულის (და მასთან გეოგრაფიულად დაშორებულს მეორესთან) ავიღებთ, მით მეტია განსხვავება მათ შორის. მაშასადამე, განსხვავება დიალექტთა შორის ხან მეტია ხან ნაკლები. ამიტომ მეცნიერებაში უნდა არსებობდეს ტერმინები განსხვავებათა მეტ-ნაკლებობის გამოსახატავად, რადგან „დიალექტი", „დიალექტური ნიშნები" გამოხატავს მხოლოდ განსხვავების არსებობას.

თვით სიტყვა „ენა"-ც არ გამოხატავს რაიმე აბსოლიუტურ ცნებას, ჩვენ შეგვიძლია „ენა" ვუწოდოთ როგორც მთელი ერის ენას, აგრედვე რომელიმე კუთხის, სოფლის წოდების ან კიდევ რომელიმე ავტორის ენასაც (ვიტყვით: აკაკის ენა, ვაჟას ენა და სხვ.). მაგრამ მეცნიერების საჭიროებისათვის უნდა გვქონდეს ამ გრადაციის გამომხატველი ტერმინები. ამიერიდან შემდეგ სახელებს ვუწოდებთ ენის დაყოფვას მსხვილიდან წვრილამდი: ენა—კილო—კილოკავი—თქმა—ქცევა (языкъ—нарѣчіе—поднарѣчіе—говор—подговор).

ალინგვისტკაში ენა ეწოდება რომელიმე ერის კილო ქცევათა ერთიანობას, მაგრამ, როგორც უკვე ცხადია ნათქვამიდან, ენა შეგვიძლია ვუწოდოთ თითოეულ ქცევასაც-კი, თ. ვფიქრობთ მხოლოდ მასზე და სახეში არ გვაქვს მისი უფრო მსხვილ ერთეულთან შედარება; ხოლო სისწორისათვის უმჯობესია ხსე-

*) იგულისხმე ეს ასოები წერტილით ქვეშ. (ტიპოგრაფიაში ალბად შესაფერი ნიშნები არ აღმოჩნდა).

ნებულ დაყოფვას მივსდიოთ მტკიცედ. მიაქციეთ ყურადღება, რომ ამ დაყოფვიდან გამორიცხულია მწერლობის ლიტერატურული ენა, როგორც ხელოვნური და ამიტომ ენის ბუნებრივი განვითარების არ მონაწილე. ვიდრე თქმულის საილუსტრაციოთ ქართული ენიდან მაგალითს მოვიყანდე, საჭიროდ მიმაჩნია მოვიხსენიო ენის კილო-ქცევათა დაყოფვის სიძნელე და სირთულე. რომ ავიღოთ, მაგ., ყველაზე წვრილი დიალექტური ერთეული—ქცევა, შევამჩნევთ, რომ ის არ წარმოადგენს რაიმე განმარტოებულს მოვლენას, არამედ ზოგი ნიშანი მას აქვს საერთო ერთ სხვა ქცევასთან, ზოგიც მეორესთან და სხვა.

ვსთქვათ, A ქცევას ახასიათებს მოვლენები a, в, c; ხოლო მის ახლობელ B ქცევა-ს a^1, $в^1$, c^1; მაგრამ ამასთანავე შესაძლებელია A-ს რომელიმე ნაწილში არსებობდეს აგრედვე მოვლენები d, e, რომელნიც გვხვდება აგრედვე B-ს რომელსამე ნაწილში.. ცხადია, თუ d, e-ს რაიმე მნიშვნელობას აძლევს მკვლევარი, მან უნდა გამოყოს ქცევა C (შედგენილი A-სა და B-ს ნაწილთაგან), რომელსაც ახასიათებს d, e...

თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ ქართულ ლიტერატ. ენას (იხ. ზემოთ, და მოვიგონებთ ენის ლინგვისტურ განსაზღვრას (**კილოქცევათა ერთიანობას**), აი რა სურათი წარმოგვიდგება თვალწინ*):

იყო წინაპარი ენა, რომლისაგანაც განვითარდა ქართლური, მეგრული და სვანური კილოები. მათგან ქართლური კილო დაედო საფუძვლად ქართულ ლიტერატურულ ენას. მაშასადამე, ამ სამ ჯგუფს ეწოდება კილო **მხოლოდ** წინაპარ ენის მიმართ. კილოთა შედარებით-ისტორიული შესწავლით მკვლევარი აღადგენს იმ წინაპარ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდა მთელი ქართველი ერი ჯერ კიდევ გეოგრაფიულად ერთი მეორესთან დაუშორებელი. მომავალ კილოთა (ქართლურ, მეგრულ და სვანურ) მხოლოდ ჩანასახი არსებობდა. მცხოვრებთა გამრავლებას თან დაყვა ამ ჩანასახის კილოთ ქცევა. შემდეგ, როცა თითოეული კილო თავის მხრივ იზარდა, მისგან წარმოიშვა მრავალი **კილოკავი**, მაგ. ქართლურისაგან: ქართლური, იმერული და სხვა; მეგრულისაგან: სამურძაყანო-ზუგდიდური, სენაკური (იხ. პროფ. ყიფშიძის Грамм. мингрельскаго яз. СПБ. 1914, გვ. XVIII). კილოკავებიც იზარდა, გაჩნდა **თქმა**; მაგ. იმერული, რაჭული და სხვა. თითოეულ თქმასაც თავისი ქცევა აქვს; მაგ. ზემო და ქვემო იმერული და ასე ამგვარათ.

თუ ჩვენ განვიხილავთ მეგრულ კილოს წინაპარ ენასთან დამოუკიდებლად ჩვენ შეგვიძლია მას ენა ვუწოდოთ; მაშინ სამურძაყანო-ზუგდიდური და სენაკური იქნება კილო.

მეგრული ენა იქნება „ქართული“-ს კილო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების ძალით, პირობით ყველა ამ კილოთა წინაპარს ვუწოდებთ „ქარ-

---

*) რთული მეცნიერული ანალიზი ქართული ენის მოვლენათა აქ უადგილო იქნებოდა. მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ ამ ანალიზს „იაფეტურ“ ენათამეცნიერების წარმომადგენელთა (მარის, ყიფშიძის და შანიძის) ნაწერებში.

თულს". ყოველ შემთხვევაში მეგრულ ალნა ცა არის კილო იმ ქართულისა, რომელზედაც დღეს ჩვენ ვწერთ და ლაპარაკს ვცდილობთ (იხ. ზემოთ), და რომელიც არის ხელოვნური ლიტერატურული ენა, დამყარებული უმთავრესად ქართულურ კილოზე; ეს უკანასკნელი კი ისეთივე გამონაყოფია „ქართული"-საგან, როგორც მეგრული და სვანური. ერთი სიტყვით, ისინი არიან ერთ წყაროდან გამომდინარე, მხოლოდ **სხვა და სხვა ევოლიუციის ნაყოფი***).

ჩვეულებრივ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული, მეგრული და სვანური ისეთივე ახლო მონათესავე ენებია, ერთი მეორეში, როგორც უკრაინული, რუსული და ბელორუსული, რომელთაც აგრედვე საერთო წინაპარი ენა ქონდათ: **წინაპარი რუსული ენა** (прарускій яз.); ან და ისეთივე, როგორიც არიან (ან იყვნენ) ერთი მეორესთან სერბული, პოლონური, ჩეხური, „რუსული" (წინაპარი რუსული) და სხვა სლავური ენები, რომელთაც აგრედვე საერთო წინაპარი ყავდათ **წინაპარი სლავური ენა** (праславянскій яз)

ამ წინაპარ ენათა აღდგენა მონათესავე ენათა შედარების საშუალებით შეადგენს ლინგვისტის ერთ მთავარ მიზანს. ნათესავ ენებათ ითვლებიან ისეთი ენები, რომელნიც წარმოადგენენ ერთი წინაპარი ენის სხვა და სხვა ევოლიუციის შედეგს. მაგრამ ერთი ენა ჩქარის ტემპით ვითარდება, მეორე არა; ამიტომ ერთი ენა მეტად შორდება თავის წინაპარს, მეორე ნაკლებ, მაგ. ლიტავურმა ენამ მრავალი ძველი ფორმა შეინახა, ფრანგულმა-კი თითქმის სრულიად დაკარგა ინდო-ევროპული სტრუქტურა. ლინგვისტი იკვლევს ნათესავ ენათა შორის **ნათესავურ** განწყობილებას ე. ი ახდენს ერთ რომელსამე ენათა ჯგუფის ან ოჯახის შემადგენელ ენების **გენეალოგიურ კლასიფიკაციას**. სხვა და სხვა ენათა ოჯახების გენეალოგიურ კლასიფიკაციას შემდეგ ლექციაში შევუდგებით.

ლექცია მესამე.

„წინაპარი ენა". შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდები: რომანულ ენათა წინაპარი ენა. ინდოევროპული პრე-ენა. ენათა „ოჯახი", სხვადასხვა ოჯახები. გენეალოგიური კლანიფიკაცია: სუმერული, სემური, ქამური, ინდოევროპული (ინდოევროპულის შემადგენლობა: ინდური, ირანელი, სომხური, ალბანური, ლათინური, კელტური, გერმანული და ბალტური ენათა ჯგუფები), ურალო-ალტაური ჩინური, იაპონური, დრავიდული, ბუშმენური, ჰოტენტოტური, ბანტუ, მალაო-პოლინეზიური. ავსტრალიის და პაპუა ენები; მცირე ნაშთთა ენები. ანთროპოლოგია და ლინგვისტიკა. პრე-ენათა ნათესაობის საკითხი.

როდესაც ჩვენ ორს ან რამდენსამე ენას ერთი მეორეს ვადარებთ და მათ ნათესავობას ვცნობთ მათთვის სურთო ფონეტიურ ან მორფოლოგიურ მოვლენათა მიხედვით, შემდეგ საკითხად ვსვამთ მათი **წინაპარი ენის** აღდგენას, ე. ი

---

*) ევოლიუცია შესაძლებელია სწრაფიც იყოს და ნელიც პირობების მიხედვით.

იმ ენის, რომლისაგანაც ერთი მეორეში მონათესავე ენები წარმოიშვენ. მაგალითისათვის ავიღოთ რომანული ენები: როცა ჩვენ ერთი მეორეს ვადარებთ ფრანგულს, ისპანურს, იტალიურს და სხვა რომანულ ენებს, ჩვენთვის ცხადია, რომ მათ ერთი წინაპარი ენა (праязык) უნდა ყოლოდათ. თუ ჩვენ შევადარებთ იტალიურ pera-ს (e=ვიწრო e-ს, რომელიც i-ს უახლოვდება), ისპანურ pera-ს, ძველ ფრანგულ peire-ს და ახალ ფრანგულ poire-ს და მხედველობაში ვიქონიებთ, რომ ყველა მათი მნიშვნელობა „მსხალი"-ა, ჩვენ ადვილად მივხვდებით, რომ ხსენებულ ხალხებს სხვადასხვანაირად „გადაუკეთებიათ" რომელიღაც ერთი სიტყვა, რომელსაც ვუწოდებთ წინაპარ სიტყვას; ე. ი. pera, pera, peire და poire არის ერთი რომელიღაც უცნობი ძველი სიტყვის სხვა და სხვა ფორმა: ამ უცნობი სიტყვის აღდგენა არის რომანული შედარებითი ენათმეცნიერების მიზანი; მეცნიერება აღწევს ამ მიზანს და თითქმის შეურყეველის მათემატიკურის სისწორით პოულობს ამ წინაპარ სიტყვას*). ეს სიტყვა უნდა ყოფილიყო pira (ვარსკვლავით აღინიშნება შედარების მეთოდებით აღდგენილი სიტყვა ან მისი ფორმა). ამ ძველმა pira-მ მიიღო ხსენებულ ენებში სხვა და სხვა ფორმა, მაშასადამე pira ყოფილა ის წინაპარი სიტყვა. შემდეგი საკითხია: გვაქვს თუ არა ნაშთები ისეთი ენისაგან, რომელშიც იხმარებოდა pira „მსხლის" მნიშვნელობით? თუ მოინახა ასეთი ენა, ხომ კარგი: ეს იქნება მეცნიერული კვლევის უმაღლესი გამართლება; და თუ არა, მეცნიერება მაინც არ იყრის იარაღს და განაგრძობს ძიებას. დარწმუნებული თავის მეთოდების ჭეშმარიტებაში. რომ მეცნიერება არ სცდება, ამის შესანიშნავი დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ სიტყვა pira (მსხალი) დადასტურებულია ძველ ხალხურ ლათინურში; და არა მხოლოდ ეს სიტყვა, არამედ თითქმის მთელი შემადგენლობა რომანული ენებისა. აქედან დასკვნა ცხადია: რომანულ ენათა წინაპარი ენა — ხალხური ლათინური ყოფილა (ეს სიტყვა გვხვდება აგრედვე ძველ ლიტერატურულ ლათინურში pirum-ის ფორმით; მაშასადამე რომანულ ენებს პირდაპირი კავშირი აქვს არა ლიტერ. ლათინურთან, არამედ ხალხურ ლათინურთან)

სამწუხაროდ, მრავალ ენათა ნაშთი დაკარგულია ან სამუდამოდ დაღუპული; მათ შთამომავალთაგან-კი ზოგიერთი სცოცხლობს დღემდი. მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ, თითქოს ხალხური ლათინურის ნაშთი არ დაგვრჩენოდეს, მისი შთამომავალი რომანული ენები-კი მართლაც დღემდი ცოცხალნი არიან.

გავაფართოვოთ შედარების მაშტაბი და შევადაროთ ერთი მეორეს ძველი ინდური, ბერძნული, ალბანური, ლათინური, ლიტავური, სომხური ძველი ირული (ირლანდური), ძველი ზემოგერმანული და ძველი სლავური. მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულია ყველა ამ ენათა ნათესაობა. მათი ნათესაობის საბუთები ისეთივეა, როგორც რომანულ ენებში, ე. ი. ხსენებულ ძველ ენებს, რომელთა ნაშთი მრავლად მოგვეპოება, აქვს ბევრი რამ საერთო: ურიცხვი სიტ-

*) თუ **რა** ფონეტიური კანონებით ხელმძღვანელობს მეცნიერება ამ შემთხვევაში, ამას თავის დროზე გავიგებთ.

ყვები, მრავალი ფორმა და სხვა. ავიღოთ ერთი რამ სიტყვა. ძვ. ინდ. mâtâ ბერძნ. (mêtêr) ალბან. motrz, ლათინ. mâter, ძვ. ირ. mâthir, ძვ. ზ. გერმ. muoter, ლიტვ. motê, სომხური mair, ძვ. სლ. mati. თითქმის ყველა ამ სიტყვების მნიშვნელობა ერთია: „დედა“ და გარეგნულადაც დიდი მსგავსებაა მათ შორის. ცხადია, რომ ისინი წარმოადგენენ ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმას; ამიტომ იბადება საკითხი: რა სიტყვისაგან განვითარდა ეს სიტყვები ან როგორი იყო ის წინაპარი სიტყვა, რომლისგანაც ისინი წარმოიშვენ? უფრო ფართედ რომ დავსვათ საკითხი, რა ენა იყო ის წინაპარი ენა, რომლისაგანაც განვითარდნენ ხსენებული ენები? მეცნიერება უპასუხებს ამ კითხვაზე იმავე შედარებითი მეთოდებით, როგორითაც მან უტყუარად უპასუხა რომანული ენების საკითხში (იხ. ზემოთ): ის ადარებს მოყვანილ სიტყვებს ერთმანეთს ფონეტიური კანონების მიხედვით და ასკვნის, რომ ის სიტყვა იყო mâté(r) რადგან ხსენებულ ენებს საერთო სახელად უწოდებენ „ინდო-ევროპულ ენებს“ ამიტომ მათ წინაპარ ენას, რომელშიდაც სიტყვა mâté(r) იყო, შეგვიძლია ვუწოდოთ „ინდო-ევროპული წინაპარი ენა“ ანუ „ინდ.-ევრ. პრე-ენა“. ამ ენის ნაშთები ჩვენ არ გვაქვს; ამიტომ რომანულ ენათა მკვლევარი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ამ ფართე მაშტაბით მკვლევარი, რადგან პირველმა თავისი ჰიპოტეტური pira-სათვის დასტური მიიღო ძველი ხალხური ლათინურისაგან, რომლის ნაშთები შემთხვევით შენახულია, მეორემ-კი თავისი ჰიპოტეტური matè(r). ისათვის ასეთი ვერ იპოვა, რადგან „ინდ.-ევროპ. პრე-ენის“ ნაშთი არა გვაქვს. მაგრამ მეცნიერებას ეს გარემოება (ნაშთის უქონლობა) ოდნავაც არ აფრთხობს: დარწმუნებული თავისი მეთოდების სიმტკიცეში, ის განაგრძობს პრე-ენის აღდგენას ჰიპოტეტიურად; და მართლაც, თითქმის მთელი ინდოევრ. პრეენის შემადგენლობა ჩვენ თვალწინ არის გაშლილი. თუ რომელი ხალხი, სად და როდის ლაპარაკობდა ამ ენაზე, განვიხილავთ თავის დროზე; აქ კი შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: რადგან სანსკრ., ბერძნ., ლათ., სომხ., ლიტ. და რამდენიმე სხვა ენა იმდენათ მონათესავე არიან ერთი მეორეში, რომ მათი საერთო ენის აღდგენაც შესაძლებელია, ცხადია ჩვენ გვაქვს უფლება ამ ენათა ერთიანობას განსაზღვრული საერთო სახელი ვუწოდოთ, ეს საერთო სახელია **ინდო-ევროპულ ენათა ერთი ოჯახი***)

როგორც ხედავთ, მე აქ არ მიხსენებია არც უგრო-ფინური ენები, არც არაბული და ებრაული და არც ქართული და სხვა. ეს იმიტომ, რომ ინდოევროპულ ენათა ოჯახს ისინი არ ენათესავებიან; ისინი სულ სხვა ოჯახთა წარმომადგენელნი არიან. მაშასადამე ინდოევროპულ ოჯახს გარდა მეცნიერებამ იცის ბევრი სხვა ოჯახი: მაგ., ურალო-ალტაური, ქამური, სემური, ქართული და სხვა ენათა ოჯახები. იმავე შედარებითი მეთოდების საშვალებით მეცნიერება აღადგენს თითოეულ ამ ოჯახის პრე-ენას ანუ წინაპარ ენას (праязык): ურალო-

*) ზოგი მეცნიერი უწოდებს მას ინდო-გერმანულ ენათა ოჯახს ან ჯგუფს, მაგრამ ეს სახელი ნაკლებ მეცნიერულია, ვიდრე პირველი.

ალტაურ პრე-ენას, ქამურ პრე-ენას, სემურ პრეენას, ქართულ პრეენას და სხვ*).

მეცნიერება იკვლევს ისტორიულად რომელიმე ენას, მაგ. არაბულს ან ებრაულს და არკვევს თუ რამდენიდ დაშორდა ის თავის პრეენას (ან. . . . . ში სემურ პრეენას), თავის ოჯახს; ან და რომელი უფრო დაშორდა სემურ ოჯახს; ან და არაბული თუ ებრაული, ე. ი. უბრალოდ რომ ვთქვათ: თუმც არაბულს და ებრაულს წინაპარი ერთი ყავდათ (სემური პრეენა), მაგრამ ჩვენი მიზანია გამოვარკვიოთ, თუ რა ნათესავური განწყობილებაა ებრაულსა და არაბულს შორის: არიან ისინი ერთი მეორისმკვიდრი ძმები თუ, ვთქვათ, ბიძაშვილები ან უფრო შორებლები. ერთი ოჯახისშემადგენელ ენათა ნათესავური საფეხურების მიხედვით დანაწილებას ეწოდება **გენეალოგიური კლასიფიკაცია ენათა.**

მაშასადამე ამ კლასიფიკაციას მოვახდენთ შემდეგნაირად: დავასახელებთ ენათა სხვადასხვა ოჯახებს, აღვნიშნავთ თითოეული ოჯახის შემადგენელ ენებს და გავარკვევთ შეძლებისდაგვარად თითოეულ ოჯახის ფარგლებში მომწყვდეულ ენათა ნათესავურ დამოკიდებულობას.

დედამიწის ზურგზე მრავლი ენა არსებობდა და არსებობს. მეცნიერებამ ჯერჯერობით ვერ შესძლო ყველა ამ ენათა ოჯახებათ დაყოფვა. ესე იგი, მეცნიერება იცნობს რომელიმე ენას, მაგრამ რომელ ენათა ოჯახს მიაკუთვნოს ის, არ იცის. მაგრამ შედარებითი ენათმეცნიერების წარმატება იმის თავდებია, რომ ის მომავალში მიაღწევს თავის მიზანს.

ქრონოლოგიურად ყველაზე უძველესი ნაშთი გვაქვს **სუმერულ** ენისაგან, რომლის კილოთ ითვლება **აკადური.**

სუმერული ენის ნაშთები შენახულია ლურსმულ წარწერებში, მრავალი წარწერა უკვე ევროპაშია გადატანილი და ინახება პარიზის, ბერლინის და ლონდონის მუზეუმებში. ნაწერების შინაარსი მრავალგვარია: რელიგიური ჰიმნები, შელოცვები, მეფეთა სახელები და სხვა. ისტორიას ამაზე უძველესი ძეგლები არ გააჩნია. სუმერიელები გენეტიურად არ ენათესავებოდენ არც სემიტელებს და არც ინდოევროპიელებს. სუმერ-აკადური ენა გავრცელებული იყო მესოპოტამიაში: სუმერული სამხრეთით, ეფრატის ველებში და აკადური ჩრდილოეთით**). სუმერიელებმა ჩაუყარეს საფუძველი ბაბილონის კულტურას, რომელიც აყვავდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მეორმოცე საუკუნეში ქრისტემდი. შემდეგ სუმერიელები შეერიენ მოსულ სემიტელებს და გადმოიღეს მათი ენა და კულტურა, რომელიც თანდათანობით გავრცელდა ჯერ ფინიკიაში, შემდეგ საბერძნეთში და იტალიაში და ბოლოს სხვა ინდოევროპიულ ქვეყნებში. საფიქრებელია, რომ ბალკანეთის და აპენინის ნახევარ კუნძულებზე ბაბილონუ-

*) „სემური", „ქამური" და აგრეთვე „იაფეტური" ძველი ლეგენდარული ტერმინებია. ისინი ვერ გამოხატავენ არსებითად «ინდოევროპულ"-ის ან „ურალო-ალტაური"-ს თანაბარ ცნებას. ამიტომ მათ აქვს მნიშვნელობა მხოლოდ შეთანხმების ძალით.

**) ენათა გეოგრაფიული მდებარეობის გასათვალისწინებლად საჭიროა რუკა მუდამ ხელთ გქონდესთ მათი აღწერის დროს.

ური კულტურა გადავიდა უფრო ადრე, ვიდრე ამ ნახ.-კუნძულებს ბერძნები და ლათინები დაიკავებდენ. ამას მოწმობს მიკენის კულტურა საბერძნეთში და ეტრუსკთა იტალიაში.

აზიასა და აფრიკაში ჩვენ ვხედავთ ენათა მეორე **დიდ ოჯახს, ე. წ. სემურს.** ამ ოჯახიდან მრავალი ენა უკვე აღარ არსებობს, მაგრამ მათი ნაშთები კი საკმაოდ დაგვრჩა. სემური ხალხები მეცნიერთა აზრით გამოვიდენ არაბეთიდან სხვა და სხვა დროს რამდენიმე წყებად და დასახლდენ წინა აზიასა და მესოპოტამიაში, სადაც მათ დახვდათ სუმერიელთა მაღალი კულტურა. არაბეთიდან გამოსულ სემიტელთა პირველი წყება იყო ის ტომი, რომელსაც მესოპოტამიაში დასახლების შემდგომ ისტორიაში **ასურელებს** უწოდებენ. მათი ენა (ასურულ-ბაბილონური) შენახულია ლურსმულ წარწერებში ბაბილონსა და ნინევიაში მეორმოცე საუკუნიდან ქრისტემდი. მეორე წყებად გამოვიდა არაბეთიდან **ქანაანის ტომი,** რომლის ენათა შორის ცნობილია ძველი ებრაული და ფინიკიური. ებრაულის უძველესი ნაშთი—დებორის ჰიმნი—ეკუთვნის მეათე საუკუნეს ქრისტემდი. ფინიკური ენის წარწერები—თითქმის ასეთისავე სიძველის—შეგვხვდება ბერძნულ და ლათინურ წყაროებში (მაგ., პლავტის ერთ კომედიაში). მესამე წყების **არამიელთა ენა** (სირიულისა და ხალდურის კილოთი), გავრცელდა სირიაში, ასურეთში და ბაბილონეთში.

აღმოსავლეთ-არამიულმა ენამ დიდი გავლენა მოახდინა სასინიდთა დროის სპარსეთის ენაზე. ამ ენის (აღმ.-არამ.) ნაშთები ცოცხალ ხმარებაშია დღემდი აისორთა ენაში. არამიულის უძველესი ნაშთია ძველი აღთქმის ზოგიერთი ნაწილი (დასავლეთ არამიულის). მეოთხე წყებად გამოვიდენ არაბეთიდან **არაბები,** რომელთა ენას ყოფენ ჩრდილო და სამხრეთ ჯგუფად; სამხრეთ არაბულს ახლო ენათესავება ეთიოპური ანუ აბაშეთის სემური კილოკავები. ჩრდილო არაბულ ენაზეა დაწერილი ყურანი. არაბულმა მრავალი თავისი სიტყვა შეიტანა იმ ხალხთა ენებში, რომელთაც მაჰმადიანობა მიიღეს (სპარსულში, ოსმალურში და სხვ.) არაბული ენის კილო გავრცელებულია აგრედვე კუნძულ მალტაზე.

ენათა **მესამე ოჯახი—ქამური**—შეიცავს ძველ ეგვიპტურს, ეგვიპტურისაგან განვითარებულს კოპტურს, ლიბიურს და კუშიტთა ენას (აბაშეთის ქამურ კილოებს ასეთ სახელს უწოდებენ). ძველი ეგვიპტურის ნაშთები ქრისტემდი მეორმოცე საუკუნიდან იწყება.

კოპტურ ენაზე (ბერძნული ალფაბეტით) შენახულია საქრისტიანო მწერლობა პირველი საუკუნიდან. აბაშეთში გავრცელებულია ქამური დიალექტები სემურთან ერთად (იხ. ზემ. არაბული).

მეოთხე ოჯახს შეადგენს **ინდოევროპული ენები,** რომელთაგან ზოგმა მრავალი ნაშთი დაგვიტოვა და დღემდისაც ცოცხალმა მოაღწია, ზოგისაგან-კი ძალიან მცირე ნაშთები გვაქვს. ყველა დღეს ხმარებული და მათი ძველი ინდოევროპ. ენები ათ მთავარ ჯგუფად განიყოფება: 1) ინდურ, 2) ირანულ, 3) სომხურ, 4) ალბანურ, 5) ბერძნულ, 6. იტალიურ, 7. კელტურ, 8. გერმანულ, 9. ბალტურ და 10. სლავურ ჯგუფებად. თითოეული მათგანი დიალექტებად დაიყო,

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

რომელნიც შემდგომ ენებად განვითარდენ. 1. ძველი ინდური ენის წარმომადგენლად ითვლება მისი ორი დიალექტი: ვედური და სანსკრიტული. ვედურ დიალექტზედაა დაწერილი უძველესი ინდო-ევროპული ტექსტები, ეგრეთ წოდებული ვედა (veda ნიშნავს „ცოდნას"), რიცხვით ოთხი; მათში ყველაზე უფრო ძველი და აგრედვე შესანიშნავი არის რიგვედა. ეს რელიგიური ხასიათის ჰიმნები შეთხზულია რამდენიმე ათი საუკუნის წინედ ქრისტემდი. თუ ვედის ენას უფრო ხალხური ხასიათი აქვს, ინდურის მეორე დიალექტი—სანსკრიტი უკვე უაღრესად შემუშავებული და განსაზღვრულ ნორმებს დამორჩილებული ენაა: ის არის ხელოვნური ლიტერატურული ენა, დაკანონებული გამოჩენილი გრამატიკოსის პანინის მიერ (თვით სიტყვა sanskrta ნიშნავს «ხელოვნურს, „დამუშავებულს, დაწმენდილს».. ამ ენაზე არსებობს იშვიათის სიმდიდრის მწერლობა; მათში შესანიშნავია ორი დიდი ეპოსი: რამაიანა და მაჰაბარატა; ცნობილია ევროპაში არაკთა კრებული „პანჩატანტრა" და მრავალი სხვა.

ფილოსოფიური და დრამატიული თხზულებანი სანსკრიტთან ერთად პარალელათ არსებობდა ხალხური ინდური. ე. წ. პრაკრიტი; ერთ პრაკრიტულ დიალექტზე, სახელდობრ პალი-ს დიალექტზე შეთხზულია ბუდდიანობის რელიგიური ლიტერატურა. პრაკრიტული დიალექტებიდან განვითარდა თანამედროვე ინდური ლიტერატურული ენები: ბენგალი, ჰინდი, სინდჰი, ურიჲა, პენჯაბი და სხვა.

ბოშთა (ციგანთა) ენაც ახალი ინდური ენაა. ბოშებმა დასტოვეს ინდოეთი ეათე საუკ. ქ. შ. 2) **ძველი ირანულის** ორ დიალექტს წარმოადგენს ძველი სპარსული (აზემენიდთა დინასტიის ლურსმული წარწერების ენა) და ავესტი ნეა (ზოროასტრის რელიგიის მიმდევართა საღვთო ტექსტების კრებულს ეწოდება ავესტა).

უძველესი წარწერა ძველ სპირსულ ენაზე ეკუთვნის მეექვსე საუკ. ქრისტემდი. ავესტის უძველესი ნაწილები შეთხზულია მე-7 ს. ქ. წ., ზოგი უფრო გვიან. ავესტა ითარგმნა **საშუალო ირანულ ენაზე** (ანუ ფალაურ ენაზე) სასანიდთა დროს; ამ ფალაურ თარგმანს მისი კომენტარიებით ეწოდება ზენდი; ამიტომ ხშირად (უმართებულოდ) ზენდი იხმარება ავესტის მაგივრად. **ახალ ირანულ** ენებად ითვლება: ახალი სპარსული, რომელზედაც მდიდარი ლიტერატურა არსებობს, ქურთული, ოსური, ავგანური, ბალუჩი და პამირის დიალექტები. 3. **ძველი სომხურის** ნაშთები გვაქვს მეხუთე საუკ. ქ. შ., ძველიც და განსაკუთრებით, თანამედროვე სომხური იმდენად აჭრელებულია მეზობელ ერთაგან (განსაკუთრებით ირანელთაგან) ნასესხები სიტყვებით, რომ დიდხანს სომხურს ირანულ ენად სთვლიდენ. 4. **ალბანური ენის** ნაშთებს ვიცნობთ მხოლოდ მე-XVII ს. ქ. შ. თანამედროვე ალბანურში ცნობილია ორი მთავარი დიალექტი: ტოსკური (სკუტარში, იპეკში და დურაცოში) და გეგური (ბერატში და იანინაში). რამდენია ნასესხები ელემენტები ალბანურში სხვადასხვა ენებიდან (რომანულიდან, სლავურიდან. ოსმალურიდან და ახალ ბერძნულიდან), ცხადი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ალბანური სიტყვები ალბანურში ერთ მეათედს არ

ალემატება. 5) ძველი ბერძნულის მთავარი დიალექტებია: დორიული, ეოლიური და იონიკო-ატიური. იშვიათია ენაში ისეთი სიმრავლე კილოკავებისა, როგორც ეს იყო ძველ საბერძნეთში. კილოკავები შენახულია ძველ წარწერებში: აქ არის დაცული ძველი ბერძნული ბუნებრივი ენა და ამიტომ მეცნიერებისათვის ამ წარწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჰომეროსის ეპოსის ენა ძველი იონიურია; აქა-იქ ეოლიურის გავლენა ატყვია. მეხუთე საუკუნიდან ქ. წ. ატიურმა თანდათან გამოაძევა ხმარებიდან კილოები და ამგვარად ატიური შეიქნა საერთო ლიტერატურული ენა. (ბერძნულად koiné dialektos). ბერძნულის შემდეგ საფეხურს (მე-XVI საუკუნემდი) ეწოდება ბიზანტიური ანუ საშვალო ბერძნული; შემდეგ კი დღემდი ახალი ბერძნული. 6) **იტალიურ ანუ რომანულ ენათა ჯგუფს** შეადგენს: ძველი ლათინური (ხალხურთან ერთად), უმბრიული და ოსკური. ლათ. ენა ცნობილია მე-III ს. ქ. წ. წარწერებით და შემდეგ დიდი ლიტერატურით; უმბრულსა და ოსკურს ვიცნობთ მხოლოდ წარწერებით; ხალხური ლათინურისაგან განვითარდნენ შემდეგი თანამედროვე ცოცხალი ენები: იტალიური, პროვანსალური, რომელზედაც დაწერილია ტრუბადურთა შესანიშნავი პოეზია, ფრანგული (მიღებულია აგრედვე ბელგიაში, ისპანური, რომელიც ძალიან გავრცელებულია ამერიკაში, პორტუგალური და რუმინული. 7) **კელტური ენები** უფრო გავრცელებული იყვნენ ძველად ვიდრე ეხლა. მათგან ცნობილია დღეს ირული ირლანდიაში, გელური შოტლანდიაში, კიმრული ველზში (ინგლისში) და ბრეტონული ბრეტანის ნახ. კუნძულზე საფრანგეთში). კელტურის ნაშთები შენახულია მე-XIII—IV ს. ქ. შემდეგ. გალური და კორნული დიალექტები აღარ არსებობენ. კელტები შეერიენ ინგლისელებს და ფრანგებს და ბევრი მათგანი თავის ენაზე აღარ ლაპარაკობს. 8) **გერმანული ჯგუფი** შესდგება სამი ტოტისაგან: გუთურისა, ჩრდილო-გერმ. და დასავლ. გერმანულისაგან. გუთურის უმთავრესი ძეგლია ეპისკოპოზ ვულფილას მიერ საღვთო წერილის თარგმანი მეოთხე საუკ.; ჩრდილო-გერმანულზე დაწერილია ცნობილი ედა (ორი), რომელიც წარმოადგენს მითოლოგიურ მოთხრობათა კრებულს. ამ ტოტის გაგრძელებაა დღეს ისლანდური, ნორვეგული, დანიური და შვედური. სამხრეთ-გერმანულს შეადგენს ზემო-გერმანული და ქვემო-გერმანული (ამ ორ ტერმინში „გერმანულ“-ს ვხმარობ ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც უდრის რუსულ „нѣмецкій“-ს). ძველი ზემო-გერმანულისაგან განვითარდა ახალი ლიტერატ. გერმანული; ქვემო-გერმანულს ეკუთვნის გერმანიის საზღვრებს გარედ ინგლისური და ჰოლანდიური. 9) **ბალტიური ჯგუფი** ეწოდება ლიტავურს, ძველ-პრუსულს და ლატვიურს, ძველ პრუსულ ენაზე დაგვრჩა მცირე ნაშთი მე-XVI ს. ქ. შ. მე-XVII ს. შემდეგ ამ ენაზე აღარავინ ლაპარაკობდა. ლიტავური ენა დღესაც ცოცხალია და შეიცავს მრავალ არქაულ ფორმას, რითაც ის ძვირფასი მასალაა მეცნიერებისათვის. ლიტავური და ლატვიურის ნაშთები მე-XVI ს. ძველი არა გვაქვს. 10) **სლავური ჯგუფი** განიყოფება სამ ტოტად: სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ ტოტებად. პირველის წარმომადგენლად ითვლება ძველი-სლავური (წმ. კირილეს და მეთოდეს თარგმანის ენა მე-IX ს.), სერბული, ბულგარული და სლოვენური. აღმოს. ტოტია თავისი სამი დიალექტით: ველიკორუს., ბელორუს. და უკრაინულით ანუ რუთენულით, როგორც გერმანიაში უწოდებენ. და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლ. ტოტი შეიცავს: ჩეხურს, სლოვაკურს, სორბულს (ანუ ლაუზიცურს), პოლონურს, კაშუბურს და უკვე მოსპობილ პოლაბურს...

განვიხილეთ მეოთხე ოჯახის (ინდოევროპულ ენათა) ათი ჯგუფი; თუმცა თითოეული ჯგუფი საკმაოდ დაშორებულია ერთი მეორისაგან, მაგრამ ზოგს მათგანს იმდენი რამ საერთო აქვს, რომ მეცნიერებაში არსებობს მაგ. ასეთი ტერმინები: ინდო-ირანული ჯგუფი, ან იტალო-კელტური ან და ბალტო-სლავური; მაშასადამე უნდა არსებულიყო ინდოირანული პრე-ენა, იტალო კელტური და ბალტო-სლავური. დაწვრილებით ამ საგანს თავის დროზე გავეცნობით-

ურალო-ალტაურ ანუ ტურანულ ენათა ოჯახი შესდგება ხუთი ჯგუფისაგან: 1) თურქო-თათრულისა 2) უგრო-ფინურისა, 3) მონგოლურისა, 4) ტუნგუზურისა (ანუ მანჯურულისა) და 5. სამოედურისაგან. ამ ოჯახს უჭირავს უზარმაზარი ტერიტორია—მთელი ჩრდილო აზია და აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილი. მათ შორის არ არის ისეთი მჭიდრო ნათესავური კავშირი, როგორიც ინდოევროპული ოჯახის ჯგუფთა შორის.

1) თურქო-თათრული ჯგუფი შეიცავს შემდეგ ენებს: იაკუტურს, ბაშკირულს, ყირგიზულს, თათრულს (ყირიმის, ყაზანის და ადერბეიჯანის), სართულს ოსმალურს და რამდენიმე სხვას; 2) უგრო-ფანური: სუომურს (ფინლიანდიის ენას ასეთი სახელი აქვს), ესტონურს, ქარელურს, ლაპლანდურს, ვენგრულს (ანუ მადიარულს), ოსტიაკურს, ზირიანულს, ჩერემისულს და მორდოვულს; 3) მონგოლური ჯგუფი განიყოფება აღმოს. მონგოლურ და დასავლ. მონგოლურად: პირველია ბურიატული, მეორე კალმიკური ენა; 4) ტუნგუზური ჯგუფი, რომელსაც შეადგენს მანჯურული, საკუთრად ტუნგუზური ენა და რამდენიმე სხვა, ნაკლებადაა შესწავლული; 5) სამოედურზედაც იგივე ითქმის.

აზიის სხვა ენათა შორის დავასახელებთ **ჩინურს**, რომელზედაც მდიდარი მწერლობა არსებობს მეოცე საუკუნიდან ქრისტეს წინ, ენის სტრუქტურის მიხედვით მას უკავშირებენ **ანამურს, სიამურს, ბირმანულს** და **ტიბეტურს**, თუმცა გენეტიური ნათესაობა მათ შორის ჯერჯერობით გამორკვეული არ არის

იაპონური ენა გენალოგიურ კლასიფიკაციაში განცალკავებით სდგას; იგივე ითქმის აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ენებზე: ჩუკაგირთა, კორეაკთა, ჩუკჩთა და კამჩადალთა ენებზე. სტრუქტურის მხრივ იაპონურს წაგავს ინდოსტანის **დრავიდული** ენები.

კავკასიის ენათა შორის განცალკევებით სდგას **ქართულ ენათა ჯგუფი.**

სამხრეთ აფრიკა უჭირავს კაფრთა ენებს, რომელნიც შეადგენდენ **ბანტუ**-ს ოჯახს. იქაურივე ბუშმენების და ჰოტენტოტების ენები არც ბანტუს ენათესავებიან გენეტიურად და არც ერთი მეორეს.

მალაო-პოლინეზიურ ენათა ოჯ ხი გაშლილია დიდი ოკეანეს სივრცეზედ: მალაურად ლაპარაკობენ კუნძულ მალაკაზე და ფილიპეს და ლანდონის კუნძულებზე; მელანეზიურად ვიჯიზე და სხვა მახლობელ კუნძულებზე; პოლანეზიურად ახალ ზელანდიაში, მადაგასკარზე და პოლინეზიაში.

ავსტრალიის ენათა შორის ცნობილია მეცნიერებაში მხოლოდ სამხრეთ ნაწილის ენები; მათ ენათესავება ენა **პაპუა** (ტომის სახელია).

ამერიკის მრავალ ენათა შორის ნათესავობა გამორკვეული არ არის.

დასასრულ აღვნიშნავ აქვე, რომ უძველეს დროიდან დაგვრჩა მრავალ ენათა მცირე ნაშთები, რომელნიც მეცნიერებისათვის დღემდი ამოცანას წარმოადგენენ. ასეთია აზიაში, ხეთური და ვანური წარწერების ენა და ევროპაში ეტრუსკთან (იტალიაში) და ბასკთა (პირინეის მთებშია) ენა.

უნდა გვახსოვდეს, რომ განსაზღვრული ენა არ ახასიათებს რომელიმე რასას, ე. ი. ენათა კლასიფიკაცია არ გულისხმობს ანთროპოლოგიურს და არ უთანასწორებს მას. ანთროპოლოგია ყოფს კაცობრიობას რასებად და ტომებად (სომატიურის სხეულის აგებულობის) თვალსაზრისით; ენა კი, როგორც კულტურის ძლიერი იარაღი, გადადის ერთი ხალხიდან მეორესთან იმისდა მიუხედავად— ენათესავებიან ისინი ერთი მეორეს ანთროპოლოგიურად თუ არა: ეტრუსკებმა დაკარგეს თავისი ენა და შეითვისეს ლათინური, თუმცა ისინი სულ სხვა რასას ეკუთნოდნენ ანთროპოლოგიურად; რუსეთის საზღვრებში ფინები სულ სხვა რასას წარმოადგენდენ, მაგრამ ენით და კულტურით იმათ გარუსებას ამან წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ათი და ასიათასი წლის განმავლობაში სხვადასხვა რასის ხალხები ერთი მეორეს ხვდებოდენ და ენას იცვლიდენ, ეროი და იმავე რასის სხვა და სხვა ნაწილს შეეძლო სრულიად სხვა წარმოშობის ენაზე ელაპარაკნათ. აგრედვე შეეძლო რასას რამდენჯერმე გამოეცვალა ენა იმისდა მიხედვით, თუ ვინ ყავდა მეზობლად, დამპყრობელი იყო ის თუ დამონებული და სხვა.

ჩვენ დავასახელეთ ენათა რამდენიმე ოჯახი. როგორც უკვე ვთქვით თითოეულ ოჯახს უნდა ყოლოდა წინაპარი—ანუ პრე-ენა. მეცნიერებაში ამ ბოლო დროს დაისვა შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა მოიძებნოს საერთო რამ გენეტიური ოჯს რომელსამე ოჯახ შორის (ანუ მათ პრე-ენათა შორის) მაგ. სემურსა და ინდო-ევროპულს შორის, ქამურსა და სემურს შორის და სხვა? დღემდი თითქმის გადაჭრილად ცნობილია სემურისა და ქამურის ნათესაობა; ზოგი მეცნიერი დადებითად უპასუხებს სემურისა და ინდო-ევროპულის ნათესაობის საკითხზე.

აქ ისახება ყველა ენათა ნათესაობის ფართე პერსპექტივა. შესაძლებელია რამდენიმე ოჯახის ნათესაობა დამტკიცდეს, მაგრამ საყოველთაო ნათესაობას იჭვის თვალით უნდა შევხედოთ ჯერჯერობით: მეცნიერებს იზიდავს ყველა ენათა ერთი ენისაგან წარმოშობის შესაძლებლობა, რომელსაც შემდეგ ლექციაში განვიხილავთ ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციასთან ერთად.

ლექცია მეოთხე.

„უპირველესი“ ენის საკითხი. უნაშთო ენები. პრე ისტორიული ეპოქა. მეცნიერების დაბრკოლებანი. პირველყოფილი ხალხის ენობრივი განძის სიმცირე. ენათა სხვა და სხვა ადგილს წარმოშობა. დამხმარე სისტემები. ენის ფილოსოფიის საგანი.

მორფოლოგიური კლასიფიკაცია ენათა. ენის მრავალგვარი მორფოლოგიური სტრუქტურა. ევოლიუციური თეორია ენაში. ძირეული ენები. აგლუტინური ენები. პოლისინტეტური ენები. ფლექსიური ენები: სემური და ინდო-ევროპული. სემური— ფლექსიურ-აგლუტინურია. მორფოლ. და გენეალოგიური კლასიფიკაცია. მორფოლ. კლასიფ. სისუსტე და მისი მიზეზი. ტენდენციური მოსაზრებანი. ლიტერ ტურა

ვთქვათ, რომ რაც ენებია დედამიწის ზურგზე, ყველა ერთი ჩვენთვის უცნობი ენისაგან წარმოიშვა. რა გზით შეუძლია მეცნიერებას დაამტკიცოს ეს დებულება?

მას შეუძლია მხოლოდ აღდგენილ პრეენათა (სემური პრე-ენის, ინდ.-ევროპული პრეენის, ქამურის და სხ.) შედარებით იკვლიოს ეს საგანი, თუ კი მათ იმდენი რამ საერთო ექნებათ, რომ შედარებაზე ლაპარაკი შესაძლებელი იქნება, ე. ი. მეცნიერებამ აქ იმავე მეთოდს უნდა მიმართოს, რომლის წყალობითაც მან ხსენებული პრეენები აღადგინა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ თქმულიდან, რომ მრავალი ენა სრულიად მოისპო ძველ დროშივე და არავითარი ნაშთი არ დაგვიტოვა; მაგალითად, საბერძნეთის მწერლები ხშირად იხსენიებენ ენებს, რომელთა შესახებ სახელის მეტი არაფერი ვიცით. რადგან ეს ასეა, ჩვენ გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ იმ დაღუპულმა ენამ მრავალი საიდუმლოება ჩაიტანა საფლავში და მათ შორის შესაძლოა იმ „უპირველეს“ ენის საიდუმლოც. ამიტომ მეცნიერების შესაძლებელ დასკვნას მომავალში, რომ არსებობდა ერთად ერთი ენა, რომლისაგანაც ყველა სხვა წარმოიშვა, არ ექნება უეჭველი ძალა, რადგან მას არ შეეძლო შედარების საგნად გაეხადა ყოველი ოდესმე არსებული ენა; მაშასადამე ჯერჯერობით მეცნიერება უნდა კმაყოფილდებოდეს მხოლოდ ცნობილ ენათა შედარებით და მათი პრეენის აღდგენით.

როდესაც ჩვენ რომელიმე პრეენას აღვადგენთ ხოლმე, იქვე ვითვალისწინებთ იმ ეპოქას, როცა ამ პრეენაზე ლაპარაკობდა ესა თუ ის ხალხი; მაგალითად, თუ ვიცით ჩვენ ინდო-ევროპული პრეენა, ვიცით აგრეთვე ინდო-ევროპულ პრე-ხალხის ცხოვრების პირობები, და ისიც დაახლოვებით: ვთქვათ, ამდენივე ვიცით სემურ პრე-ხალხის შესახებ; მაგრამ როდესაც ჩვენ პრე-ინდოევროპულ ენას ვადარებთ პრე-სემურსა, ე. ი. ვეძებთ უფრო შორეულ ეპოქას, ვიდრე თითოეული მათგანი, აქ სრულიად უძლურნი ვართ ეპოქის აღდგენაში, თუნდაც რომ მეცნიერებამ მონახოს სემურისა და ინდო-ევროპ. მრავალი საერთო სიტყვების ძირი. ეს გარემოებაც წინ ეღობება „უპირველესი“ ენის აღდგენას, თუ კი ასეთი არსებობდა.

რაც უფრო შორეულ ეპოქაში გადავიტანთ შედარების ასპარეზს, მით ნაკლების სიმტკიცით შეგვეძლება კვლევა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ეპოქის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა გვექნება, არამედ შემდეგი მოსაზრებითაც:

საქმე ისაა, რომ რაც უფრო პირველყოფილია ენა და მაზედ მოლაპარაკე ხალხი, მით ნაკლებ მდიდარია ენაც; თუ თანამედროვე უსწავლელი მუშისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმარისია ასი, ორასი სიტყვა, ჩვენ ადვილად წარმოვიდგენთ, რომ პირველყოფილი ადამიანი ნაკლებითაც დაკმაყოფილდებოდა, რადგან მისი მოთხოვნიეება უფრო ვიწროდ იყო შემოფარგლული. გავიხსენოთ, რომ მწერლობით დაუმაგრებელი ენა (პირველყოფილი ენები აუცილებლად ზეპირი უნდა ყოფილიყო მხოლოდ) იშვიათის სისწრაფით იცვლება, თავისას კარგავს და სხვა ენის ელემენტები შემოაქვს და სხვა. მაშასადამე, მეცნიერებამ კიდეც რომ შეამციროს ხსენებულ პრეენათა რიცხვი უფრო ძველ პრეენათა აღდგენით და ბოლოს მხოლოდ ორი „პირველყოფილი“ ენა დარჩეს შესადარებლად (რაც ძალიან საეჭვოა), იმ შემთხვევაშიაც საზღვარი შეიძლება დაედოს შედარებას, რადგან ეს ორი ენა თავის მცირე განძს ან დაკარგავდენ და სხვისას გადმოიღებდენ, ან იმდენათ შესცვლიდნენ, რომ მათი შედარება არავითარ ნაყოფს არ მოუტანდა მეცნიერებას.

მეტი უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ დედამიწის ზურგზე სხვა და სხვა ადგილას წარმოიშვა სხვა და სხვა ენები, ე. ი. ერთი კუთხის ადამიანმა შექმნა თავისი ენა სრულიად დამოუკიდებლად მეორე კუთხის ადამიანისაგან. **არსებითად** ყოველი ქვეყნის ადამიანი ფსიქიურად და ფიზიკურად **იმდენად** გავს მეორე ქვეყნის ადამიანს, და აგრეთვე მის გარეშე პირობებიც **იმდენად** ერთნაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია ყოველ ქვეყანაში, რომ ადამიანს **უნდა** შეექმნა ბოლოს და ბოლოს **ენ**. მაგრამ მეორე მხრით, იმდენი განსხვავება **მაინც** არსებობს სხვა და სხვა ქვეყნის ადამიანთა და ამ ქვეყანათა ბუნებას შორის, რომ **სხვადასხვა ნაირი** ენა შექმნილიყო.

მართალია მეცნიერებას გაუჭირდება ამ დებულების დამტკიცებაც უკვე ხსენებული მიზეზების გამო, მაგრამ აქ მეტი შესაძლებლობა სჩანს.

ენათმეცნიერება განაგრძობს ძიებას. ის აგროვებს მასალებს ცოცხალ და მკვდარ ენათა შესახებ ეტნოგრაფიის, პრე-ისტორიული არქეოლოგიის და სხვა მეცნიერების სისტემათა წყალობით, და ბოლოს თავისთავად შეიქმნება ცხადი, თუ რომელ შესაძლებლობას მეტი საბუთი ექნება. ეხლა კი ენათმეცნიერების ფილოსოფიის მთავარ საგანს შეადგენს საკითხი, თუ **როგორ** წარმოიშვა საზოგადოდ ადამიანის **ბგერითი ენა**.

ამ საკითხს მრავალმხრივ განვიხილავთ შემდეგ ლექციებში. ახლა განვიხილავ ენათა **მორფ~ლოგიურ კლასიფიკაციას**, რომელსაც აქ ვეხები იმიტომ რომ მისი საშვალებით სურდათ ერთი მხრით მაინც გაეშუქებინათ ენის წარმოშობის (უფრო სწორედ განვითარების) საკითხი

შემჩნეული იყო, რომ სხვა და სხვა ენა თავისებურად გამოხატავს ადამიანის აზრს, ე. ი. არსებობს ენათა მრავალგვარი მორფოლოგიური სტრუქტურა. მიმართეს ბუნებისმეტყველებაში გაძლიერებულს და განმტკიცებულ ევოლიუციურ თეორიას და იფიქრეს: თუ არსებობს ენის სხვა და სხვა სტრუქტურა, უნდა არსებობდეს „მაღალი“ და „დაბალი“-ც: ერთი ენა მეტად განვითარებული უნდა იყოს, ვიდრე მეორე. ეგრედ წოდებული ფლექსიურ ენათა (უმეტესად ინდოევროპული) ჯგუფი დასახეს „მაღალი“ სტრუქტურის მქონედ.

მორფოლოგიური სტრუქტურის მიხედვით წარმოიდგინეს ენის განვითარების სამი საფეხური (მეოთხე გარდამავალი) და ამგვარად მრავალი ენა დაუკავშირეს ერთი მეორეს. მოვახდინოთ კლასიფიკაცია და შემდეგ დავუკვირდეთ მის ღირსება-ნაკლოვანებას.

მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით არსებობს ოთხი ტიპი ენათა, რომელნიც წარმოადგენენ განვითარების ოთხ საფეხურს: 1, ძირეული (ანუ ანალიტიური), 2, აგლუტინური, 3, პოლისინტეტური და 4, ფლექსიური.

ძირეულ ენებში არ არსებობს ფორმალური ელემენტები, არაა ბრუნვა, არაა მიმოხრა. არის მხოლოდ ძირები (უმეტესად ერთმარცვლოვანი), რომელიც არც იბრუნვის და არც მიმოიხვრის. აზრი გამოიხატვის და იცვლება იმისდამიხედვით, თუ რომელი ადგილი უჭირავს წინადადებაში ამა თუ იმ ძირს; მაგ., ქვემდებარე უთუოდ პირველ ადგილას არის; დამატება მუდამ შემასმენელს შემდეგ. ყოველ ბრუნვას თავისი განსაკუთრებული ადგილი აქვს ფრაზაში. არის აგრედვე რამდენიმე მომხმარე ძირი, რომელიც ბრუნვის მაგივრობას სწევს. მოვიყვან საილუსტრაციოდ მაგალითს ჩინური ენიდან, რომელიც ტიპიურ ძირეულ ენად ითვლება*): Zin hao li=კაცს უყვარს სარგებლობა.

კაცი სიყვარული სარგებელი

საკმარისია ამ ძირებს ადგილი გამოვუცვალოთ, რომ სხვაგვარი აზრი გამოიხატოს:

hao li ci zin=მოყვარული სარგებლობისა კაცი.

ის

*) ზოგი მეცნიერი ძირეულ ენად თვლის ინდო-ჩინეთის ენებს: ანამურს, ბირმანულს და სიამურს; აგრვდვე ტიბეტურს.

ჩინურ ენაში ხუთასიოდე ძირი თუ იქნება; მაგრამ გარეგნულად ერთსა და იმავე ძირს ბევრნაირი მნიშვნელობა აქვს იმისდა მიხედვით, თუ როგორი ინტონაცია ან ხმის ამაღლება აქვს ძირს: მაგ. ძირი ma ნიშნავს: დედა-ქალს, ცხენს, კანაფს და ლანძღვას; პირველ შემთხვევაში არის mâ (მაღალი სწორი ტონი), მეორეში mà (აღმავალი ტონი), მესამეში mä (დაბალი სწორი ტონი); მეოთხეში mà (ჩამავალი ტონი).

აგლუტინური ტიპის ენებს ეკუთვნის ურალო-ალტაური და აგრეთვე იაპონური და დრავიდული ენები. მათი მთავარი თვისება უკვე მათ სახელწოდებაშია გამოხატული: agglutinare ლათინურია და ნიშნავს „დაწებვას“, „წებვა“-ს; მართლაც ფორმალური ელემენტები (მაგ. სუფიქსები) არ უერთდება სიტყვის ძირითად ნაწილს ისე მჭიდროდ, როგორც ეს ინდოევროპულშია: თითქოს ისინი მიწებებულია ძირთან ხელოვნურად და არა ბუნებრივად თან შეზრდილი. ფორმალურ ელემენტებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ხშირად ცალკეც იხმარება იმავე სახით, რომელიც მას ქონდა სიტყვასთან ერთად. ერთი რომელიმე მნიშვნელობის ნიუანსი გამოიხატვის მუდამ ერთი და იმავე სუფიქსით (მაგ. ადგილის აღნიშვნა გამოიხატვის სუფიქსით—da მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში; ინდოევროპულში მეტი სხვადასხვაობაა ამ მხრივ). მაგალითს მოვიყვან ოსმალურიდან Oda „ოთახი“, oda-da „ოთახში« oda-lar „ოთახები“ oda-lar-da „ოთახებში“. (ამ შემთხვევაში ქართულშიაც აგლუტინაციასა აქვს ადგილი).

აგლუტინურ (ურალო ალტაურ) ენათა მეორე თვისება მდგომარეობს ხმოვანთა ჰარმონიაში, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ხმოვანთა ასიმილიაცია: სუფიქსის ხმოვანი იმავე გვარისაა, როგორისაც ძირში; მაგ. იგივე მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი lar მიიღებს—ler ის სახეს, თუ ძირში e გვაქვს: oda-lar მაგრამ ev-ler „სახლები“;—mek აღნიშნავს საზოგადოდ განუსაზღვრელ კილოს: zev-mek „შეყვარება“, მაგრამ jaz-mak „წერა“.

პოლისინტეტურ (მრავალ გამაერთიანებელ) ენებს უწოდებენ აგრეთვე განმასახიერებელს. ამ ტიპს უჭირავს შუა ადგილი ძირეულ და აგლეტინურ ენათა შორის: მთელი წინადადება „სახიერდება“ ერთ სიტყვაში, რომელშიც მთავარი ადგილი ზმნას ეკუთვნის; ასეთი აგებულობის ენებს წარმოადგენენ მექსიკური და ჩრდილო-ამერიკის მრავალი ენა.

ფლექსიურ ტიპს წარმოადგენს ინდოევროპული და სემური ენები. უმთავრესი მათი თვისება და აგრეთვე განსხვავება აგლუტინურისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ფორმალური ელემენტები უფრო მჭიდროდ და თითქმის გაუნყოფელად დაკავშირეაულია ძირითად ელემენტთან, ვიდრე აგლუტინური ტიპის ენებში; მაშასადამე, პრინციპიალური განსხვავება ფლექსიურსა და აგლუტინურ შორის არ არსებობს. ზოგი მეცნიერი სემურ ენებს ფლექსიურ-აგლუტინურსაც კი უწოდებს (ფორტუნატოვი).

სემურში ძირი გვხვდება სამი თანხმოვანის სახით (ძირის სამთან ხმოვანებია): q-t-l „ვკვლავ“, K-t-b „ვწერ“, d-b-r „ვლაპარაკობ“ (ინდოევროპულში ძირი მრავალფეროვანია, ხშირად ერთი ხმოვანითაც გამოიხატება). შემდეგ სემურს ახასიათებს **შინაგანი ფლექსია**: ძირის თანხმოვანთა შუა ხმოვანთა ცვლილებას იწვევს აზრის ცვლას; ერთი და იგივე მნიშვნელობის ნიუანსი გამოიხატვის ერთი და იმავე ხმოვანით ყველა ძირში: არაბული qatala მან მოკლა“, kataba „დასწერა“, dabara „ილაპარაკა“ (იხილე ამათი ძირები ; თუ იგივე ძირი სხვა ხმოვანებს იხმარს, მაგ. kutila „მივიღებთ“ „ის მოიკლა“ Kutiba, dubira და სხვა.

ინდოევროპულ (წმინდა ფლექსიურ) ენათა ჯგუფის დახასიათებას აქ არ შევუდგები, რადგან ერთი ინდო-ევროპ. ენა (რუსული) ჯერჯერობით ყველა-ი ცით. ვიტყვი მხოლოდ მის შესახებ რამდენიმე სიტყვას.

აღსანიშნავია ინდ.-ევრ. ენებში სამი ელემენტის რიგი. ჯერ ძირი (შესაძლებელია სიტყვაში მხოლოდ ერთი), მერმე სუფიქსი (შესაძლებელია რამდენიმეც) და შემდეგ დაბოლოება (ისიც ეროი; სხვა თანამიმდევრობა შეუძლებელია: refor-e „ორატორები". სიტყვის მახვილი ისეთივე ფორმალური ელემენტია სიტყვაში (ე. ი. ისე ცვლის აზრს), როგორც რომელიმე დაბოლოვება **óкна, окна́, дóма, дома́**. საყურადღებოა აგრედვე ეგრედ წოდებული ალტერნაცია (ხმოვანთა ცვლა), რომელიც ოდნავ სემურ შინაგან ფლექსიას მოგვაგონებს **несешь носишь**.

უნდა ვთქვათ, რომ ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია სრულიად არ გულისხმობს მათ გენეტიურ ნათესაობს, მაგ. სემური და ინდოევროპული მორფოლოგიურად ფლექსიური ენებია, მაგრამ მათი ნათესაობა მეტად საეჭვოა; ურალო-ალტაური და იაპონური მორფოლოგიურად აგლუტინურია, მაგრამ მათს გენეტიური კავშირი არავის მოსვლია აზრად.

მორფოლოგიური კლასიფიკაციის თეორიით ხსენებული სამი (ან ოთხი) ტიპი წარმოადგენს ენის განვითარების სამ (ან ოთხ) საფეხურს, ე. ი. ჩინური ძირეული ენა სდგას უდაბლეს საფეხურზე; აქედან დასკვნა: ყოველი უდაბლეს საფეხურზე მდგომი ენა ძირეული უნდა იყოს და ძირი ერთმარცვლისაგან უნდა შესდგებოდეს. შემდეგი საფეხურები უნდა ყოფილიყო პოლისინტეტური, აგლუტინური და უმაღლესი—ფლექსიური, როცა სიტყვის სხვადასხვა ელემენტები ერთი მეორეს მტკიცედ დაუკავშირდენ.

მაგრამ ეს თეორია სუსტობს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის (მორფოლ. კლასიფ.) ვერ იტევს მთელი ქვეყნის ენებს, არამედ უმთავრესად იმიტომაც, რომ მას არ ქონდა გათვალისწინებული ერთი მხრით ახალ ფლექსიურ ენათა მიდრეკილება ერთმარცვლოვანობისადმი და მეორე მხრით ძირეულ ენათა (მაგ. ჩინურის) ყოფილი მრავალმარცვლოვანობა:

ჩინურში არის იმის ნიშნები, რომ ოდესღაც ის მრავალმარცლოვანი ძირებისაგან შესდგებოდა; მაშასადამე მისი ძირების ერთმარცვლოვანობა შედეგია მისი მრავალსაუკუნოებით განვითარებისა.

პირიქით, მაგალითად ინგლისურში (ფლექსურ ენაში) სიტყვები მოკლდება და თანდათან ერთმარცვლოვანდება, აგრედვე ისპობა ბრუნვების დაბოლოება როგორც ინგლისურში, აგრედვე ფრანგულში და გერმანულშიაც კი; ესე იგი ფლექსიური ტიპი უახლოვდება ძირეულს, „უმაღლეს" საფეხურიდან ჩამოდის „უდაბლესზე". აშკარაა, რომ ტენდენციურმა მოსაზრებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო: ევროპის ენები დასახეს ენის განვითარების უმაღლეს ტიპად და ამ საზომით შეეცადენ მრავალ-ჯერ რიგიანად შეუსწავლელ-ენათა წესრიგში მოყვანას. მართალია, ენათა მორფოლოლოგიურ კლასიფიკაციამ საკმაო სარგებლობა მოუტანა მეცნიერებას და მოუტანს კიდევ, ვიდრე ყველა ენები რიგიანად შეისწავლებოდეს, მაგრამ უკრიტიკოდ იმაზედ დანდობას შეუძლია ზიანიც მოიტანოს.

უფრო დაწვრილებით მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ გენეალოგიური და მორფოლოგიური კლასიფიკაციის საკითხებს შემდეგ შრომებში:

1. Jink, Die Sprachstämme des Erdkreises, Spz. 1909.

2. Steintahl, charakteristik der Hauptsächlichsten Jypen des Zprachbaues, 1860

3. G. Müller, Grundrissder Spachwissenschatte 1876—1888
4. Модестов, Ввеоеніе в римсхую исторію, ч. II (ეტრუსკთა შესახებ)
5. Buqqe. Etruskisch und Armenisch, 1890.
6. Möller, Jndogermanisch und Semitisch. 1909.
7. Нельдеке, Семитскіе языки и народы, в обработкѣ А. Крымскаго 1903—10
8. Kretschmer, Einleitung in die Geschichte der Griechischen Sprache, 1896 (ეხება მცირე აზიის ძველ ენებს)
9. Iensen, Hittiter und Armenier.
10. Катанов, опыт изслѣдованія урянхойскаго языка... тюркскаго корня (Учен. записки Каз. Унив. 1903).
11. Руднев. Матеріалы по говорам восточной Монголіи (1911).

ლექცია მეხუთე.

ბგერათა წარმოების სირთულე. ბ-ანის და მ ანის განსხვავება. ორგანოთა მოძრაობას აწესრიგებს ცენტრალური ნერვთა სისტემა. ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესი. ინერვაცია. მოტორული (მოძრაობითი) და სენზორული (გრძნობითი) ნერვთ. სისტემა. კუთების მოძრაობის შეგრძნება. ბროკა ს ცენტრი და მისი ხელქვეითი ცენტრები ლაპარაკის დროს. გრაფიული (ენტრი სენზორული ცენტრები: ვერნიკე-ს და დეჟერინის ცენტრები; მათი დანიშნულება. დიდი ტვინის აპკი. მარჯვენა და მარცხენა ნახევარი-სფერო. ენის ცენტრი მარცხენაშია, ჩანასახი-კი მარჯვენაშიც სურათის აღწერა. ბავშის ენა. მნიშვნელობითი წარმოდგენა. აკუსტიური და ოპტირი წარმოდგენის მასთან დაკავშირება. კითხვა; მისთვის ახალი ცენტრის შექმნა. მტკიცე და სუსტი ასოციაციები. აზრიანი და უაზრო ლაპარაკის, წერის და კითხვის პროცესები სქემატიურად. ასოციაციის დაზიანება პათოლოგიურ მოვლენათა მნიშვნელობა ენისთვის. აფაზია (ორნაირი), ამნეზია, აგრაფია და ალექსია. პროცესთა სირთულე. აღმზრდელის სიფრთხილე. მეცნიერული ძეთოდის ძიება. ლიტერატურა.

ყოველი ბგერის წარმოება ფრიად რთული ფსიქო-ფიზიური მოვლენაა. ბგერათა ფიზიოლოგიას დაწვრილებით შემდეგ ლექციებში განვიხილავთ; აქ-კი საჭიროა ვთქვათ, რომ თითოეული ბგერა მოითხოვს მრავალ ორგანოთა და კუთების თანაშშრომლობას. უბრალო თანხმოვანის ბ-სათვის, მაგალითად, საჭიროა რამდენიმე ათასი კუთის მონაწილეობა: პირველ ყოვლისა უნდა შეიქმნეს ამოსუნთქვითი ჰაერის ტალღა, რომლისთვისაც საჭიროა ფილტვების, დიაფრაგმის და გვერდის ნეკნების მოქმედება (ბგერის წარმოებისათვის სუნთქვა განსხვავებულია უბრალო სუნთქვისაგან; ამიტომ მას ვუწოდებთ ფონაციურ სუნთქვას). ვიდრე ამოსუნთქული ჰაერი ბაგეებამდი მოახწევდეს, გზაში მას ხვდება დაჭიმული ხმის სიმები, რომლებსაც ეს ჰაერი ააჟღერებს, ნაჟღერი ჰაერის ტალღა წააწყდება დახშულ ბაგეებს, რომელიც მას ოდნავ შეაჩერებს და სწრაფად გაიღება.

ეგრედ წოდებული რბილი სასა, რომელიც ჩვეულებრივად მოდუნებული ჰკიდია, ამ დროს ხახის უკანა კედელს მიებჯინება და ჰაერს ცხვირში არ უშვებს.

მ-სათვის-კი იმავე ორგანოთა მოძრაობა მეორდება, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ სასა არ ებჯინება კედელს და ამიტომ ჰაერი ცხვირის გზითაც გამოდის.

ვინაა ყოველივე ამის მომწესრიგებელი? ვინ იძლევა განკარგულებას, რომ ჰაერი აღმოხდეს, სიმები აჟღერდეს, ბაგეები დაიხშოს და გაიღოს, სასა კედელს მიეკრას (ბ-სათვის) ან არ მიეკრას (მ-სათვის)? აქ იწყება ფსიქიური მომენტი. თუ ადამიანის სხეულში ნივთიერებათა ცვლა, სისხლის მუშაობა, საჭმლის შეთვისება და მუსკულებად მისი გარდაქმნა არის ფიზიოლოგიური მოვლენა,— იმავე სხეულის და მათ შორის ენის ორგანოთა მოძრაობა არის ფსიქო-ფიზიოლოგიური.

როცა ხელს ვამოძრავებთ, ერთი მხრით ეს არის ფიზიური მოვლენა, რადგან ხელმა გარემოში ადგილი გამოიცვალა, მაგრამ მეორე მხრით ამ მოვლენას წინ უძღოდა ფსიქიური აღძვრა, რომლის შედეგიც გარეგნული მოძრაობა იყო: ხელს ყავს „მბრძანებელი“ ტვინის განსაზღვრულ ცენტრში, რომელიც განაგებს მის მოქმედებას. ასეთივე ხელმძღვანელი ყავს ტვინის ცენტრში ფილტვებს, ხმის სიმებს, სასას, ენას და ბაგეებს. ამ ორგანოთა და ხელის ან ფეხის მოძრაობის შორის არავითარი არსებითი განსხვავება არ არის.

ვთქვათ, ცენტრში განზრახულია ბაგეთა დახშვა (მაგ. ბ-სათვის), ან ხელის თითების მომზადება საწერად: ეს განზრახვა ელვის სისწრაფვით გადაეცემა მოტორული (მოძრაობითი) ნერვების საშუალებით ბაგეთა ან თითების კუთებს, რომელნიც ამოძრავდებიან საჭიროებისდა გვარად. ამ განზრახვის გადაცემას ვუწოდებთ **ინერვაციას**. თუ შემთხვევით მოძრაობის გამგე ცენტრი ან მოძრაობის ნერვები დაზიანებულია, ინერვაცია არ ხდება, მაშასადამე მოძრაობაც შეუძლებელია. მოძრაობის ცენტრებს განსაზღვრული ადგილი აქვს მიჩენილი ტვინში. მხოლოდ უნდა ვიცოდეთ, რომ სასის მოძრაობას განაგებს ერთი ცენტრი, ხელისას მეორე, ბაგეთა მესამე და სხვა.

მოძრაობით ნერვებს გარდა არსებობს აგრეთვე ორგანოთა მოძრაობის შემგრძნებელი ნერვები. როცა ჩვენი განზრახვა ფიზიურ სფეროში გადავიდა, ე. ი. ხელი ან ბაგე გავანძრიეთ, ჩვენვე ვიგრძენით ამ ორგანოთა მოძრაობა; ვთქვათ, ხელი სწრაფად ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიტანე: მე შევიგრძენ სისწრაფე და მანძილი: თუ შორს გადავდე, შევიგრძნობ დიდ მანძილს, თუ არა ნაკლებს. როცა ბაგეები ბ-ს ამბობს, მე შევიგრძნობ ბაგეთა მჭიდროდ დახშვას, გაღებას; თუ სწრაფად დავხშავ, ან გავაღებ, მე შევიგრძნობ სისწრაფეს და სხვა.

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ჩვენივე ორგანოთა **კუთების მოძრაობის შეგრძნება** (мышечное ощущеніе), ე. ი. მოტორულ ნერვთა სისტემას გარდა გვაქვს გრძნობითი, **სენზორული** ნერვთა სისტემა, რომელთა საშვალებით მოძრაობის ფიზიური, გარეთი ფაქტი შიგნი შეგვაქვს.

თუ მოტორულის დანიშნულებაა **შიგნიდან** (განზრახვა) **გარედ** გამოიტანოს (მოძრაობა მოახდინოს), სენზორულის პირიქით მას **გარედან** კუთების მოქმედება (ან მათი შეგრძნება) **შიგნი** შეაქვს.

ადამიანის ტვინში არსებობს განსაზღვრულ ადგილს ლაპარაკის მოტორული ცენტრი, ე. ი. ისეთი ცენტრი, რომელიც ამოძრავებს ყოველ ენის ორგანოს (სასუნთქს, სიმებს, სასას, ენას და სხვას). მაგრამ თითოეულ ამ ორგანოს თავისი საკუთარი მოტორული ცენტრიც აქვს, ხოლო ყველა ისინი ლაპარაკის დროს ემორჩილებიან იმ მთავარ მოტორულ ცენტრს, რომელსაც ეწოდება **ბროკა-ს ცენტრი**. უბრალო სუნთქვის დროს, სასუნთქი ორგანო მხოლოდ თავის საკუთარ ცენტრს ემორჩილება; ენაც და სასაც, ჭამის დროს რომ მოძრაობენ, აგრეთვე თავის საკუთარ ცენტრს ემორჩილებიან. მაგრამ ფონაციისათვის (ბგე-

რითი ამოსუნთქვისათვის) სასუნთქი მთავარი მოტორული ცენტრისაგან იღებს განკარგულებას; აგრეთვე ენაც, სასაც და ყველა ორგანო ლაპარაკის დროს უთუოდ მთავარი ცენტრის ბრძანებას ასრულებს.

როგორც უკვე ვთქვი, ბროკას ცენტრი (მთავარი მოტ. ცენტრი) სენზორული ნერვების საშვალებით მიიღებს და ინახავს ჩვენივე კუთების მოძრაობის შეგრძნებას. მაშასადამე, ბროკას ცენტრის დანიშნულება ორგვარი ყოფილა: მოძრაობის წარმოება (უფრო სწორედ განზრახვის კუთებამდი მიტანა) და მოძრაობის შეგრძნების შენახვა ანუ დამახსოვრება. ბროკას ცენტრი მოგვაგონებს სადგურს, საიდანაც ერთ ლიანდაგს გააქვს რამ და მეორე ლიანდაგს შემოაქვს.

მეორე ამგვარივე ცენტრი (მოტორული) აქვს ტვინში ადამიანს, თუ მან წერა იცის: მას განზრახვა გამოაქვს მოტორული ნერვებით თითების კუთებამდი და შეაქვს უკანვე იმავე თითების მოძრაობის შეგრძნება სენზორული ნერვებით. ამ ცენტრს **გრაფიული** (მოტორ.) **ცენტრი** ეწოდება.

მაგრამ ადამიანს აქვს ისეთი ცენტრიც, რომლის დანიშნულება **მხოლოდ** შეტანაში გამოიხატება; მაშასადამე ის მხოლოდ **სენზორული** ცენტრია. ეს არის **სმენითი შთაბეჭდილების მიმღები და შემნახავი ცენტრი.** გავიგონებთ ჩვენ სიტყვას თუ სიმღერას ან რაიმე ხმაურობას, იმის მიმღები სმენითი ცენტრია: მაგრამ შესანიშნავი ის არის, რომ მთელ ამ ცენტრის მიდამოში სიტყვას თავისი საკუთარი პუნქტი აქვს, რომელსაც **ვერნიკე-ს** ცენტრი ეწოდება; შესაძლებელია ბგერა ან სიმღერა საერთო სმენით ცენტრში შევიდეს, მაგრამ ვერნიკეს ცენტრს არ მოხვდეს: მაშინ სიტყვა (გარკვევითაც ნათქვამი) კარგად გვესმის, მაგრამ ვერ გაგვიგია. შესაძლებელია აგრეთვე სმენითი ცენტრი საერთოდ რიგიანად მუშაობდეს, მაგრამ ვერნიკეს ცენტრი დაზიანებული იყოს: სიმღერა ან სხვა რამ გვესმოდეს და ლაპარაკისათვის (ცოტად თუ ბევრად) ყრუ ვიყოთ. ამ გვარივე მეორე ცენტრს მოეპოვება ადამიანს, თუ მან კითხვა ი ის. ეწოდება **ოპტიური ცენტრი.** ესაც სენზორულია, რადგან მისი დანიშნულება მხოლოდ გარედან მიღებაში გამოიხატება. ჩვენ ვხედავთ რასმე; ეს ნიშნავს მას, რომ გარეთი შთაბეჭდილება შევიდა ოპტიურ ცენტრში საერთოდ; მაგრამ თუ ჩვენ დაწერილ სიტყვას შევხედავთ (და გავიგებთ), მაშინ მოქმედობს მხოლოდ ერთი პუნქტი საერთო ოპტიური ცენტრის მიდამოში; ამ პუნქტს ეწოდება **დეჟერინ-ის ცენტრი.**

ჩვენ შეგვიძლია ჩინებულად ვიხედებოდეთ, მაგრამ დაწერილს შევხედოთ და ვერ წავიკითხოთ: ეს იმიტომ, რომ ან არ გვქონია დეჟერინის ცენტრი (თუ კითხვა არ გვისწავლია) ან და გვქონია, მაგრამ დაზიანებულა. ამ შემთხვევაში ნაწერი ჩვენთვის უაზრო ხაზებს წარმოადგენს.

მაშასმდამე ადამიანს ლაპარაკისა და წერა-კითხვისათვის აქვს ოთხი ცენტრი: ორი მოტორული (ბროკასი და გრაფიული) და ორიც სენზორული (ვერნიკესი და დეჟერინის). მოტორულ ცენტრებს ორნაირი დანიშნულება აქვს: 1) ინერვაცია ბგერისათვის და 2) ორგანოთა კუთების შეგრძნება და შენახვა; სენზორულს კი მხოლოდ ერთი: შთაბეჭდილების მიღება და მათი შენახვა (დამახსოვება). თუ სენზორული ცენტრებიც (სმენითი და ოპტიური) მოინდომებენ „შიგნიდან გარედ“ ე. ი. მათთვის უჩვეულო გზით მოქმედებას, ეს იქნება ჰალუცინაცია სმენითი ან ოპტიური (გავიგონებთ ან შევხედავთ იმას, რაც არ არის ნამდვილად).

ნორმალური ადამიანის ტვინში არსებობს ამ ცენტრთა მრავალგვარი ასოციაცია, რომლის გასათვალისწინებლად საჭიროა ვიცოდეთ ცოტა რამ ტვინის შესახებ.

ეგრედ წოდებული „დიდი ტვინის“ აპკი (ანუ კანი) წარმოადგენს ადამიანის შეგნებული ფსიქიური მოქმედების ცენტრს, რომელშიაც შედის მრავალი მგრძნობიარე ნერვი და შეაქვს შეგრძნებანი; აგრედვე აქედან იწყება ნებაყოფლობითი მოძრაობის იმპულსები. ჩვენი ფსიქიური მოქმედება არის აგრედვე ფიზიოლოგიური პროცესი, რადგან ყოველ ფიზიოლოგიურ აღძვრას თან სდევს პარალელურად ფსიქიური პროცესი. როცა შეგრძნების ფსიქოფიზიოლოგიური მომენტი თავდება, ნერვებში გვრჩება ერთნაირი მიდრეკილება ან ჩვეულება იმავე პროცესისადმი: მეორედ ის უფრო ადვილად ხდება. ამ ფაქტს ვუწოდებთ მეხსიერებას. ტვინის აპკში (კანში) შენიშნულია განსაზღვრული ცენტრები, რომელთაც განსაზღვრული დანიშნულება აქვს. უკვე მოგახსენეთ, რომ მაგ. ტვინში ოპტიური ცენტრის დაზიანება ნიშნავს დაბრმავებას, თუმცა გარედან თვალი შესაძლებელია უვნებლად დარჩეს.

მთელი ტვინის სფერო განიყოფება ორ ნახევარ-სფეროთ: მარჯვენა და მარცხენა ნახევარი-სფერო. ნორმალური ადამიანის სხეულის მარჯვენა ნაწილს (მაგ. მარჯვენა ხელს) განაგებს ტვინის მარცხენა ნახ. სფერო; მარცხენას კი მარჯვენა. ცაციას ანორმალობა იმაში მდგომარეობს, რომ ხელის მოძრაობის ცენტრი მარჯვენა ნახევარ სფეროში აქვს მეტად განვითარებული.

ენის ცენტრიც მარცხენა ნახ. სფეროშია უმთავრესად, თუმცა ჩანასახი ალბად მარჯვენაშიც არის: ცნობილია, რომ თუ ენის ცენტრი მარცხენაში (ხსენებულ ბროკას ცენტრი) მოიშალა, ზოგიერთ შემთხვევაში მისი თანაბარი ცენტრი მარჯვენაში იღებს თავისთავზე მის ფუნქციას, მის მაგიერობას სწევს; აგრედვე ზოგიერთ ცაციას ენის ცენტრი მარჯვენა ნახ.-სფეროში აღმოაჩნდა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნება სახეში მხოლოდ მარცხენა ნახ.-სფერო, ე. ი. ნორმალური ადამიანის ენის პროცესის პირობები.

სურათზე (იხ. სურ.I) სჩანს ტვინის ნახევარი ნსფერო. მასზედ აღნიშნულია მხოლოდ ის, რაც გამოგვადგება ლაპარაკისა, სმეისა და წერაკითხვის განსახილველად. ზევიდან ქვევით: პირველი შუბლის ხვეული, მეორე და მესამე; შემდეგ: პირველი საფეთქლის ხვეული, მეორე და მესამე. როლანდის ორნატს ქვევით აღნიშნულია კეფის ზედა ხვეული. როლანდის ორნატის ახლო არის ხვეული, ციფრებით დანიშნული.

ლაპარაკის ცენტრი (ნაჩვენებია სურათზე ბრ.=ბროკა) სძევს შუბლის მესამე ხვეულის უკანა ნაწილში, წერის ცენტრი (გრაფ.=გრაფიული) შუბლის პირველი ხვეულის მიდამოში; თუ წერ ს ცენტრი ვითარდება მარჯვენა ნახ.-სფეროში, მაშინ ჩვენ ვსწერთ მარცხენა ხელით.

საერთო სმენის ცენტრი იჭერს საფეთქლის პირველი და მეორე ხვეულის მიდამოს; მაგრამ სიტყვის აკუსტიურ ცენტრს (განსხვავება უკვე ზევით ავღნიშნე) უჭირავს შუა ადგილი საერთო სმენით ცენტრში. სურათზე ვერ.=ვერნიკე. აგრედვე კითხვის ოპტიურ ცენტრს (დეჟ.=დეჟერინი) უჭირავს საერთო მხედველობის ცენტრის შუა ადგილი.

ორგანოთა მოძრაობის (სუნთქვის, სასის, ყელის, ენის, ხელის, თითების და სხვ.) ცენტრები აღნიშნულია ციფრებით 5—14-მდი ეს მეორე ხარისხოვანი ცენტრები ემორჩილება ლაპარაკისა და წერის მოტორულ ცენტრებს (ბრ. და გრაფ.). როგორც უფროსი, აგრედვე უმცროსი ცენტრების დანიშნულების შესახებ უკვე ვთქვი რამოდენიმე სიტყვა; საილუსტრაციოდ მოვიყვან მაგალითბავშის ენის განვითარებიდან; იქვე დავინახავთ სხვადასხვაგვარ ასოციაციებს.

ბავშს ვაჩვენეთ ზარი და ვთქვით სიტყვა „ზარი“ მან მიიღო ორი შთაბეჭდილება: ერთი თვით საგნის შეხედვით (საერთო ოპტიურ ცენტრში) მეორე

სახელის გაგონებით. ენისთვის პირდაპირი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მეორეს, როგორც **საგნის სიმბოლოს**. ჩვენ რომ ზარის წკრიალის შთაბეჭდილება მიგვეცა ბავშისათვის, ამასაც არ ექნებოდა პირდაპირი მნიშვნელობა ენისათვის, რადგან ის წკრიალი მოხვდებოდა საერთო აკუსტიურ ცენტრში და არა სიტყვის სპეციალურ ცენტრში (ვერნ.) ისე, როგორც ზარის შეხედვა მოხვდა საერთო ოპტიურ ცენტრში და არა სპეციალურ დეჟერინის ცენტრში. მაშასადამე, გარემო სინამდვილის (ამ შემთხვევაში ზარის, როგორც საგნის) შემეცნება და **სიტყვის** (ამ შემთხვევაში სიტყვა „ზარის") შეთვისება სხვა და სხვა პროცესის შედეგია. ჩვენ ვიკვლევთ მხოლოდ სიტყვის პროცესს, რომელიც იწყება სმენის ვერნიკეს ცენტრიდან: ბავშმა პირველად ამ ცენტრით მიიღო „ზარი", რომელიც მისი ტვინის საკუთრებად გახდა. ამ მომენტიდან ბავში იწყებს ცდას ეს აკუსტიური შთაბეჭდილება „ზარი" გარედ გამოიტანოს იმავ საშუალებით, რომლითაც ამას უფროსები სჩადიან, ე. ი. ენის ორგანოების საშუალებით. პირველი მისი ცდა უნაყოფო იქნება, ის ვერ იტყვის სწორედ „ზარი", რადგან მას არა აქვს შესწავლილი თავისი ენის ორგანოების მოქმედება; მაგრამ შეცდომას უფროსები უსწორებენ. ბავში ხედავს,რომ თავის ნათქვამი სიტყვისაგან („ზარის", სახელისაგან) სხვა შთაბეჭდილებას იღებს თვითონ. ვიდრე როცა სხვა იტყვის იმავე სიტყვას. ბავში შეუგნებლად ესწრაფვის შეასწოროს ეს უთანასწორობა ბაძავს უფროსებს, ავარჯიშებს სათქმელ ორგანოებს და **იმახსოვებს თავისი კუთების ბოძრაობას**. ბოლოს ერთხელ მან სთქვა სწორედ „ზარი", რომლის გამეორება შეუძლია მას მხოლოდ იმიტომ, რომ მან **დაიმახსოვა** ორგანოების მორაობა, ე. ი. მას აქვს ამ სიტყვისთვის საჭირო ორგანოთა მოძრაობის წარმოდგენა. მაშასადამე, ბავშს აქვს უკვე „ზარი"-ს ორი წარმოდგენა: აკუსტიურ-ვერნიკეს ცენტრში და მოძრაობითი, მოტორული ბროკას ცენტრში. ეს ორი წარმოდგენა თვითონ ბავშმა დააკავშირა თავის შეგნებაში: ვერნ. ბრ. როცა ბავშს უნდა სთქვას „ზარი", პირველად აღიძვრის მასში ვერნ. ცენტრის „ზარი"ა შემდეგ მისგანვე შექმნილი გზით (ასოციაციით) ვერნიკეს „ზარი" აღძრავ, ბროკას ცენტრის „ზარ"-ს, ესე იგი აკუსტიური წარმოდგენა აღძრავს იმავე საგნის მოძრაობით წარმოდგენას. მოძრაობითი წარმოდგენა კი აღძრავს ენის მოტორულ ცენტრებს, ორგანოებს (სუნთქვას, სიმებს, სასას, ენას და სხვ.) და ითქმება „ზარი". სქემატიურად გამოვხატავთ ამგვარად: «ვერ. ბრ." ენ. ორგ. მაგრამ ბავშს აქვს აგრეთვე ზარის წარმოდგენა, როგორც საგნის (საგნობრივი წარმოდგენა): შეხედვით, შეხებით, წკრიალით და სხვა. ამას ვუწოდებთ მნიშვნელობითი წარმოდგენას, (იხ ლექცია 1) რომელიც სულ სხვა გზით არის შემდგარი, ვიდრე სიტყვიერი წარმოდგენა; პირველი შესდგა საერთო სენზორული ცენტრების საშუალებით, მეორე-კი სპეციალური სიტყვის ცენტრების საშუალებით. ყოველ შემთხვევაში ბავშს აქვს სიტყვიერ წარმოდგენის გარდა მნიშვნელობითი წარმოდგენა (სურათზე მნ. წ., იხ. სურ. II). აი ამ წარმოდგენას აქვს ის მნიშვნელობა, რომ თუ მას არ დაუკავშირდა ზემო ხსენებული ორი წარმოდგენა აკუსტიური (ვერწ.) და მოტორული (ბრ.), ლაპარაკი უაზრო იქნება, შეგვიძლია ბავშს დავასწავლოთ უცხო სიტყვა, რომლის მნიშვნელობითი წარმოდგმნა მას არა აქვს, ბავში გაიმეორებს ამ სიტყვას, მაგრამ უაზროთ. მაშასადამე სქემას ვერ. „ბრ. ენ. ორგ. უნდა შეუერთდეს ასოციაციით მნიშვნ. წარმ.: მნ. წარმ. ვ. ბრ. ორგ. მოძრ,; მხოლოდ ასეთი პროცესი შეიძლება იყოს აზრიანი.

ბავში ცოტა წამოიზარდა. მას აჩვენეთ პირველად დაწერილი სიტყვა „ზარი". მისთვის ეს უბრალო ხაზებია, რადგან მას ეს დაწერილი „ზარი" საერთო

ოპტიურ ცენტრში მოხვდა. მას სპეციალური დეჟერინის (კითხვის) ცენტრი გა-
ვითარებული არა აქვს. იქმნება ახალი ცენტრი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის:
საჭიროა გაებას ძაფები (ასოციაციები) დეჟერინსა და ვერნიკეს შუა, დეჟერინ-
სა და მოტორულს შუა და უმთავრესად დეჟერინსა და მნიშვნ. წარმოდგენას
შუა. ვთქვათ, ბავშს მისცეს ხელში „დედა ენა“, სადაც დახატულია იხვი, ქვეშ
აწერია ი-ხ-ვ-ი. ვთქვათ ბავში იხვს ჩვეულებრივად ეძახის კვატას: ის ამოიკით-
ხავს: ი-ხ-ვ-ი და იტყვის „კვატა“. ანალოგიურად მოიქცევა, თუ მას აჩვენებთ
დახატულს და ქვეშ მოწერილს მუხას ან ფიჭვს: ამოიკითხავს ფ-ი-ჭ-ვ-ი, იტყვის
ხე და სხვა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მას სიტყვა „იხვი“, „მუ-
ხა“, „ფიჭვი“ არა აქვს დაკავშირებული მნიშვნ. წარმოდგენასთან, ეს-კი ბრო-
კასთან და სხვა. მაშასადამე, კითხვის დროს საჭიროა ასეთი პროცესი: დეჟ. ვერ.
ბრ. ენ. ორგ. მოძრ.+ვ მნ. წ. (ე. ი. მას უნდა ქონდეს აკუსტიური წარმოდგენა
ვერნიკეს ცენტრში, დაკავშირებული მნ. წარმოდგენასთან; მაშინ როცა ის გაი-
გონებს (ვერნ. თავისგანვე ამოკითხულ (დეჟ.) „იხვი“, იმ წამსვე გაგონილი აღ-
ძრავს მნიშვნ. წარმოდ ენას; ამიტომ ერთიანად ეს სქემა ამგვარია: დეჟ, ვ. მნ.
წ. ბ. ენ. ორგ. მოძრ. ცხადია, უმართებულოდ ვუჯავრდებით ჩვენ ბავშს, ოცა
იმას კითხვის შესწავლა უჭირს; მით უმეტეს, რომ კითხვისთანა რთული პროცე-
სი არც ლაპარაკია და არც წერა.

ახლა ჩვენ გვაქვს წარმოდგენა სხვადასხვა ასოციაციაზე. ზოგი მათგანი
ძლიერია და სავალდებულო, ზოგიც სუსტი და არა სავალდებულო იმისდა მი-
ხედვით თუ რაგვარ პროცესთან გვაქვს საქმე. ვერნ. მნ წარმ. ყველაზე მტკიცე
ასოციაციაა, ე. ი. როცა ჩვენ გვესმის ნაცნობი სიტყვა, ჩვენ უსათუოდ წარმო-
ვიდგენთ მის მნიშვნელობას (გვესმის ბგერა „ზარი“: ჩვენ წინ აღსდგება თვით
საგანი). ასეთივე მტკიცეა ბრ. ვერნ.: როცა ვლაპარაკობთ, ჩვენვე გვესმის; ვერნ.
ბრ. არაა იმდენად სავალდებულო: როცა ჩვენ ჩუმად ჩქარა ვაზროვნობთ, სიტ-
ყვების მოძრაობითი (მოტორული) წარმოდგენა ვერ მიყვება თან იმავე სიტყვე-
ბის აკუსტიურ წარმოდგენათა ცვლას.

უნდა ვიცოდეთ, რომ ასოციაციათა ინტენსივობა დამოკიდებულია ინდი-
ვიდუალურ სხვადასხვაობაზე, ბუნებრივ ნიჭზე და განვითარება ჩვეულებაზე.
ჩვენ გვყავს სახეში საშვალო ადამიანი, წერ კითხვის საშვალოდ მცოდნე.

ვერნ. დეჟ. აქვს წერაკითხვის მცოდნეს, რომელსაც სმენითი შთაბეჭდილე-
ბა უბადებს წერით ან ბეჭდით წარმოდგენას.

დეჟ. ვერნ. ძლიერია, რადგან კითხვა (დეჟ.) დაიწყო სმენით წარმოდგე-
ნასთან (ვერნ); კითხვის დიდი პრაქტიკა იძლევა პირდაპირ დეჟ. მნიშვნ. წარმ.
კითხვის სწავლის დაწყებიდანვე ვითარდება ძლიერი ასოციაცია დეჟ. ბრ.

აღვნიშნავ ლაპარაკის, წერის და კითხვის პროცესებს სქემატიურად:

1. ნებისყოფითი აზრიანი ლაპარაკის დროს აღიძვრის: მნ. წ.—ვერნ. ბრ.
ორგ. მოძრ.; უაზრო ლაპარაკის დროს: ვერნ. ბრ. ორგ. მოძრ.

2. ნებისყოფითი წ რის დროს (ე. ი. თავისი აზრის გამოთქმა : ჩვეულებრივ:
მნ. წ.—ვ. დ. გრაფ. ხელის მოძრაობა იშვიათად: მნ. წ. გრაფ. ხელმოძრ. ან და:
დეჟ. გრაფ. ხელ. მოძრ.

3. აზრიანი კითხვა: დეჟ. ვერნ. ბრ. ორგ. მოძრ.+ვ. მნ. წარმ.. უაზრო
კითხვა დეჟ. ვ. ბრ. ორგ. მოძრ. (ძლიერ ჩქარი კითხვის დროს ხშირად მოს
დის ყველას.) სრულიად უაზრო კითხვა: დეჟ. ბრ. ორგ. მოძრ. (როცა ვკითხუ
ლობთ სრულიად უცნობ უცხო ენაზე).

ხშირად ხდება ხოლმე, რომ რომელიმე ასოციაცია აღარ მოქმედობს (და-
ზიანდან მოიქანცა, მაშინ პროცესი სრულდება მაგრამ გრძელდება გზა. ვთქვათ,
შეწყდა ასოციაცია დეჟ. (მნ. წარმ.;მაშინ შესაძლებელია: დეჟ. ბრ. ორგ. მოძრ.

3

ვერნ: (მნ. წარმ. (ე. ი.. ხმამაღლა კითხვა). შეწყვეტილი ასოციაციის მაგივრად აღსდგა სხვა გზა სამი ასოცია-ციით მეტი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ენისათვის პათოლოგიურ (ავადმყოფურ) მოვლენათა შესწავლას. ყველა ხსენებული დასკვნა ემყარება უმეტეს ნაწილად პათოლოგიურ მოვლენათა დაკვირვებაზე. თავისთავად ცხადია, რომ თუ ბაგეები არა გვაქვს, ბ-ს ვერ ვიტყვით, თუ ენა ამოგვჭრეს დ-ს და ბევრ სხვას ვერ ვიტყვით და სხვა; ცხადია აგრედვე, რომ, თუ ტვინში დაზიანდა თითების საკუთარი მოტორული ცენტრი, ველარ დავსწერთ და სხვა; მაგრამ ხშირად ბაგესაც ვანძრევთ, ენასაც, ხელსაც; ვხედავთ კიდევაც ყველაფერს და გვესმის ყოველივე, მაგრამ ლაპარაკს, წერას და კითხვას ვეღ ვახერხებთ. მიზეზი ენის მთავარ მოტორულ და სენზორულ ნერვთა და ცენტრთა დაზიანებაშია.

როცა ავადმყოფს ესმის და გაიგებს ლაპარაკს (ვერნ.), კითხულობს (დეჟ.) სწერს (გრაფ.), მაგრამ ვერ ლაპარაკობს, ცხადია, რომ მას მეოთხე ცენტრი დაზიანებია (ბრ.), ე. ი მას აღარ აქვს თავის ორგანოთა მოძრაობის წარმოდგენა. ეს ავადმყოფი **მუნჯია (ატაკტიური აფაზია)**. არის მეორე გვარი სიმუნჯე. როცა ავადმყოფს დაუზიანდა ვერნიკეს ცენტრი: მას ესმის და გაიგებს, იმეორებს კიდეც თქვენს ნათქვამს, მაგრამ თავისი აზრის გამოთქმა ზეპირი სიტყვით არ შეუძლია; ცხადია, მას აღარ აგონდება სიტყვების სმენითი წარმოდგენები (ამნესტიური აფაზია).

თუ (ცოტაოდნად არის დაზიანებული ვერნიკე, მაშინ გვეჩვევა გულმავიწყობა, მეხსიერების სისუსტე (შესაძლოა დაღლილობისაგანაც; ღრმად მოხუცებულს უფრო ხშირად (ამნეზია).

თუ დაზიანდა გრაფიული ცენტრი, ველარ ვწერთ (აგრაფია); დეჟერინის ცენტრის დაზიანება იწვევს ალექსიას: ჩვენ ვხედავთ ნაწერს, მაგრამ უბრალო უაზრო ნაჯღაბნი გვგონია.

———

აუწერელია მრავალგვარ პროცესთა სირთულე, ცხადია, თუ რაოდენი სიფრთხილე გვმართებს ბავშის აღზრდის დროს პატარაობიდანვე. ამიტომ ამგვარ ანალიზს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ალმზრდელ მასწავლებელთათვის. ამ ანალიზზე უნდა იყოს დამყარებული უცხო ენათა და მართლ წერის მეცნიერული მეთოდით სწავლება. დღემდი მეთოდიკაში გამეფებული სისტემა მოსწავლეს უნაყოფოდ აკარგვინებს დროს და ენერგიას. მეცნიერული მეთოდების საშუალებით კი შესაძლებელია ნაკლებ დროს და ნაკლები ენერგიით მეტი ნაყოფი მივიღოთ, მეცნიერება განაგრძობს გადაც მის გაადვილების ძებნას და ალბად ჩვენ მოწმე ვიქნებით ახალ აღმოჩ ნათა ამ დარგში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Bernheim, De l'aphasie motrice 1900.
2. Monakow, Gerihnpathologie 1897
3. А. Погодин, Внутренняя рѣчь и ея разстройства Журн. М. Н. Пр. 1906 ноябрь.
4. Аствацатуров, Клиническія и эксперимент. психологич. изслѣдованія рѣчевой функціи 1908.
5. Осокон, К патологіи разстройств. рѣчи, казан. Мед. Журн. 1910.